ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## 8 მაისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად მასონები

აფცბ უფპტსსფყ ტპსფლ – !) კფპბ




gfhfcrtdb7 !* vfbcb7 @)!@ 1117 (5807) afcb5 #) stshb

# მეუფე იაკობი: დავით გარეჯის ტერიტორიას არავინ გაასხვისებს“



გვ. 2

ქართული დასი დავით გარეჯის გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვს





გვ. 3

## ჯონ ბასი: ჰილარი კლინტონი საქართველოში აუცილებლად ჩამოვა“

ქართულ ოცნებას“ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ქვემო ქართლში შეხვდა



გვ. 6



თბილისში გეი-აღლუმი გაიმართა გვ. 4

## დემოკრატიული მოძრაობა“ ბათუმის ცენტრში 40-სართულიანი შენობის აშენებას აპროტესტებს გვ. 6



კამპანია ეს შენ გეხება“ გვ. 4 დავით ბაქრაძეს მიმართავს



გვ. 5

სანდრო ბრეგაძე: თბილისში გეიაღლუმი სპეცსამსახურებმა მოაწყვეს“



გია ნოდია: გვ. 3 უნდა გაირკვეს, რა არის სოციალური რეკლამა“

ISSN 1987-9385

2 ბიძინა ივანიშვილი: ბერეზოვსკი და სააკაშვილი პატარკაციშვილის ქონების გაყოფაში პარტნიორები არიან“

5 ბურჯანაძე საქართველოს რკინიგზის“ აქციების გასხვისების წინააღმდეგია

6 ევროპა ოქტომბერში სამართლიან არჩევნებს ითხოვს

7 ოპოზიციის გაერთიანების გარეშე არჩევნებს აზრი არა აქვს

კეპ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# მეუფე იაკობი: დავით გარეჯის ტერიტორიას არავინ გაასხვისებს“

## ქართული დასი დავით გარეჯის გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვს

თეა მარხვაიძე

**დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო ვითარება კვლავ რთულია. არსებულ ვითარებას ისიც ართულებს, რომ ხელისუფლება კონკრეტული განმარტებების გაკეთებისგან თავს იკავებს.**

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯის ტერიტორიაზე მრევლი და მომლოცველები დაუშვეს. 6 მაისის შემდეგ ტურისტები და მომლოცველები იქ ველარ შედიოდნენ.

დავით გარეჯის გარშემო არსებული ვითარება ოპოზიციამ სერიოზულად გააპროტესტა. „ქართული დასი“ დავით გარეჯთან დაკავშირებული ვითარების გამო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხის დასმას ითხოვს. ამის შესახებ გუშინ განცხადება ჯონდი ბაღათურიამ გააკეთა.

— პრეზიდენტმა, რომელიც ამავდროულად ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია, იგი იმ დროს მიატოვა, როცა მისი საზღვრის მთლიანობა დაირღვა. ეს კი იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძველია. იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძველი სახეზეა. პრეზიდენტი გაიქცა სახელმწიფოდან მაშინ, როცა ქვეყნის ტერიტორიული საზღვარი დაირღვა, განხორციელდა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და მისი საზღვარი მეზობელი სახელმწიფოს შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ამ შემთხვევაში, მესაზღვრე ძალებმა, გადმოლახეს და დაიკავეს ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით -— ეროვნული სიწმინდეები. ამავე დროს ქვეყანაში მოხდა ტრაგედია და მას ძალიან დიდი ზარალი მიადგა. პრეზიდენტი კი ქვეყნიდან გაიქცა და მილანში საათებისა და რაღაც ნივთების ყიდვით ერთობოდა. ეს მორალურად სამარცხვინო საქციელია, სამართლებრივად კი სააკაშვილის პასუხისგებაში მისაცემია და მის წინააღმდეგ იმპიჩმენტი უნდა დაწყებული, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ხელისუფლებაზე განაწყენებული ბაღათურია, აზერბაიჯანთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნების მომხრეა.



— ქართული დასის სურვილია, რომ ის კეთილმეზობლური ურთიერთობები გაგრძელდეს, როგორიც საქართველოს აზებაიჯანთან აქამდე ჰქონდა. იმედს ვიტოვებთ, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ჩვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, გონიერი ადამიანია, ამ პროვოკაციის მოსალოდნელ მძიმე შედეგებს გააანალიზებს და თავის მესაზღვრეებს საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაიყვანს. ეს ჩვენი ტერიტორიაა და მას ვერავის დავუთმობთ, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.



ბაღათურიას და არასამთავრობოების შეხვედრისას ცნობილი გახდა ერთი ღონისძიების შესახებ. 19 მაისს პოლიტიკური გაერთიანება ქართული დასი და რელიგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ცენტრალურ ლავრას მოილოცავენ.

— მოვუწოდებ ყველა პარტიას, უმრავლესობას, ოპოზიციას, ვისაც ძარღვებში ქართული სისხლი უდუღს, შემოგვიერთდეს. 1500 წელია, რაც დავით გარეჯი არსებობს და ვერავინ მიჩვენებს თუნდაც ერთ დანაჯღაბნს იმაზე, რომ ვინმეს სადმე ეთქვას, დავით გარეჯი საქართველოს კუთვნილება არ არისო. 1500 წლის შემდეგ ვიღაცას რომ გაახსენდება, ეს ჩემი კუთვნილებააო, უსამართლო და უსაფუძვლოა, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ცენტრალური ლავრის მოლოცვის მსურველები 19 მაისს 12.00 საათზე პარლამენტის შენობასთან შეიკრიბებიან.

დავით გარეჯის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება მეუფე იაკობმაც გააკეთა.

— სასულიერო პირებთან მიმართებაში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები კორექტულები არიან. ჩვენ არ გვექმნება დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის ტერიტორიაზე შესვლის პრობლემა და არც შევაქმნევინებთ. ეს ტერიტორია ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენია და ჩვენი იქნება. პრობლემა ექმნებათ მხოლოდ მომლოცველებსა და უცხოელ ტურისტებს. სასულიერო პირებთან მიმართებაში აზერბაიჯანელი მესაზღრეები კორექტულები არიან, — განაცხადა მეუფე იაკობმა.

მისივე განმარტებით საქართველოს ეკლესია აზერბაიჯანისთვის გოჯი მიწის დამთმობიც არ არის.

— ეს ველი, რომელზეც უდაბნოს მონასტერი და ჩიჩხიტური მდებარეობს, არასოდეს ყოფილა სადავო. ის ყოველთვის ჩვენი ტერიტორია იყო. რომელიც თავის დროზე აზერბაიჯანულ მხარეს მხოლოდ საძოვრებად დავუთმეთ. ასე რომ, არ მგონია, რომ ახალი ისტორიის შემქნელების გარდა, ამ ტერიტორიის სადაობაზე სხვა ვინმე სერიოზულად ფიქრობდეს. ეს პრობლემა დროებითია, დარწმუნებული ვარ ჩვენს ქვეყანაში არ მოიძებნება ადამიანი, მათ შორის არც ხელისუფლებაში, რომ ამ ტერიტორიის გასხვისებაზე ფიქრობდეს, — აღნიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსმა.

## ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრები დღეს დავით გარეჯში ჩავლენ

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო შექმნილი ვითარების ადგილზე გასაცნობად, საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრები დღეს დავით გარეჯში ჩავლენ.

როგორც ჟურნალისტებს ფრაქციის თავმჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძემ განუცხადა, დავით გარეჯში ხვალ პალეოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევის შედეგების ამსახველ დოკუმენტაციას ჩაიტანენ.

მისივე თქმით, ეს დოკუმენტები დავით გარეჯის ქართული კულტურული მემკვიდრეობის უტყუარობას ადასტურებს. „ერთობა სამართლიანობისთვის“ წარმომადგენლები გარეჯში ჟურნალისტებთან ერთად მიდიან.

ინტერპრესნიუსი

## ბიძინა ივანიშვილი: ბერეზოვსკი და სააკაშვილი პატარკაციშვილის ქონების გაყოფაში პარტნიორები არიან“



პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ბორის ბერეზოვსკი და მიხეილ სააკაშვილი პარტნიორები არიან და გარდაცვლილი ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ქონებას იყოფენ. ამის შესახებ ივანიშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

ივანიშვილი ერთ-ერთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბორის ბერეზოვსკი მის წინააღმდეგ ნაწილობრივ უკვე გამოიყენა.

„როგორც ვიცი, ბერეზოვსკიმ მე პუტინის ხელისუფლებასთან კავშირში დამადანაშაულა. ის აცხადებს, რომ სააკაშვილის მსგავს დემოკრატიას ივანიშვილი ვერ შექმნის. პასუხი მარტივია — ბერეზოვსკის უახლოესი და შესაძლოა, ერთადერთი მეგობარი პატარკაციშვილი იყო. ბადრის ტელევიზიის მფლობელი დღეს სააკაშვილია. ასეთი დემოკრატი სააკაშვილი მოსწონს ბერეზოვსკის?“ — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, როგორც მისთვის ცნობილია, ბერეზოვსკი პატარკაციშვილის ოჯახს უჩივის და მისი ქონების გაყოფაზე აქვს პრეტენზია.

ივანიშვილის შეფასებით, ეს სააკაშვილის ხელისუფლებასთან მის თანამშრომლობაზე მეტყველებს.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი: ნატო-ს ჩიკაგოს სამიტს საქართველოსთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს“

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე ალიანსის გაფართოების საკითხი არ განიხილება, საქართველოსთვის მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

ნატო-ს 25-ე სამიტის მნიშვნელობაზე მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ში ვიზიტისას ისაუბრა.

როგორც ქვეყნის პირველმა პირმა აღნიშნა, საქართველო სამიტის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ფორმატის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.



სააკაშვილის განცხადებით, ალიანსის პოზიცია საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს წარმოადგენს.

„ნატოს სამიტს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ შეხვედრაზე ნატო-ს გაფართოების საკითხი არ განიხილება, მაგრამ წელს ჩვენთვის, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ სამიტზე აღინიშნოს საქართველოს პროგრესი ალიანსში ინტეგრაციის გზაზე“-განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ გარე და შიდა ძალები უშლიან ხელს.

„ეს ქვეყნის ტერიტორიის დამპყრობელი ქვეყნის ძალიან დიდ წინააღმდეგობას იწვევს, მეორე მხრივ კი, რუსეთიდან დაფინანსებული პოლიტიკური ძალები საქართველოდან დარბიან ბრიუსელსა და სხვა ქალაქებში, რათა ყოველმხრივ შეუშალონ ხელი იმას, რომ არათუ არ აღინიშნოს ჩვენი ქვეყნის პროგრესი, არამედ, ითქვას, რომ საქართველოში ვითარება გაუარესდა კიდეც“-აღნიშნა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის თქმით, რამდენიმე დღის წინ ნატოს გენერალურმა მდივანმა დაადასტურა, რომ საქართველოს ინტეგრაციის პროცესში უდიდესი წინსვლა აქვს.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველო ნატო-ს სრულფასოვანი წევრი ერთბაშად ვერ გახდება, თუმცა, ალიანსში ინტეგრაციის პროცესი საქართველოს მიმართ აგრესიის განხორციელების შემაკავებელი ფაქტორი და უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია.

მისივე თქმით, საქართველო ჩიკაგოს სამიტის მუშაობასა და მის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ფორმატის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, რაც ბევრს ნიშნავს.

„ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორების შეხვედრაზე საქართველო იქნება აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენელიც; ბალკანურ ქვეყნებთან ერთად, მონაწილეობას ვიღებთ ასპირანტი ქვეყნების ახალ ფორმატშიც, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა“ — აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ნატოს ჩიკაგოს სამიტის დასკვნით დოკუმენტში აუცილებლად იქნება აღნიშნული ის, რისი გაგონებაც საქართველოს არაკეთილმოსურნეებს არ სურთ — ქვეყნის წინსვლა ნატო-სთან დაახლოებისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სააკაშვილის თქმით, ეს როგორც შიდა რეფორმების, ისე იმ ჯარისკაცების დამსახურებაა, რომლებიც დღეს ავღანეთში იბრძვიან.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გია ნოდია: უნდა გაირკვეს, რა არის სოციალური რეკლამა“

ნათია ხურცილავა

შეხვედრაზე, რომელიც მრგვალი მაგიდის ფორმატში წარიმართა, საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებმა არსებული კანონმდებლობის ხარვეზებზე ისაუბრეს და საკუთარი წინადადებები დეტალურად წარადგინეს.

კამპანიის მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, აღნიშნული წინადადებები უზრუნველყოფს პროცედურების დახვეწას არჩევნების დღეს, მედიათანაბრობას საარჩევნო სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე საერთო მაუწყებლების შეუფერხებელ გავრცელებას საკაბელო არხებით და მედია და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ქვეყანაში.

საკანონმდებლო წინადადება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას ითვალისწინებს. მათ შორის არის არჩევნების დღეს ხმის დათვლის პროცედურის დახვეწა, რაც გულისხმობს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო ყუთების გახსნამდე უნდა მოხდეს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვის დოკუმენტურად დაფიქსირება შემაჯამებელ ოქმში. წინადადება ასევე მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, რაც წინასაარჩევნო პერიოდში ცესკო-სა და საოლქო-საარჩევნო კომისიების სხდომების პირდაპირ ინტერნეტტრანსლირებას გულისხმობს.

მეხუთე საკითხი საარჩევნო სუბიექტებისთვის გარერეკლამის თანაბარი ხელმისაწვდომობაა. ცვლილებათა პაკეტი ასევე მოიცავს ადმინისტრაციული და სახელმწიფო ორგანოების სარეკლამო ხარჯების საჯაროობას და მაუწყებლობის ტრანზიტის საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებების განსაზღვრას, რაც გულისხმობს იმას, რომ პროექტით საკაბელო ქსელების ოპერატორებს ეკისრებათ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, სათემო მაუწყებლების და თანამგზავრული მაუწყებლების სატელევიზიო სიგნალების სავალდებულო წესით რეტრანსლაციით ვალდებულება.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დირექტორი ქეთი ხუციშვილი იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტი კამპანია – „ეს შენ გეხებაში“ ჩართული არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების შეთავაზებებს გაითვალისწინებს.

**ქეთი ხუციშვილი:**

– იმედია, ამის სიღრმისეული განხილვა იქნება პარლამენტში და ექნება ისეთივე მხარდაჭერა საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, როგორც ეს იყო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონთან და სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია.

შეხვედრის შემდეგ კამპანიაში ჩართულმა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სპეციალურ მიმართვას პარლამენტის თავმჯდომარისადმი, რომელშიც მათ მიერ შეთავაზებული ინიციატივებს დაუყოვნებლივ განხილვასა და მათ კანონმდებლობაში ასახვას ითხოვენ.

> კამპანიის „ეს შენ გეხება“ ორგანიზატორმა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებმა საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა პაკეტი საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გააცნეს.

კამპანიაში –„ეს შენ გეხება“ ჩართული არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების საკანონმდებლო წინადადებებს პარლამენტი სიღრმისეულად განიხილავს და მაქსიმალურად გაითვალისწინებს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრმა ანდრო ალავიძემ განუცხადა.

**ანდრო ალავიძე:**

– საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში არის წინადადებები, რომლებთან დაკავშირებითაც უმრავლესობას განსხვავებული პოზიცია ექნება, თუმცა მას საზოგადოებას აუცილებლად გააცნობს. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რაც საზოგადოებას აწუხებს და რა საჭიროებებიც არსებობს, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. ძირითადი ნაწილი, რომელთა დაკავშირებითაც საზოგადოებაში წუხილები არსებობს მაქსიმალურად ვეცდებით, რომ მიღებული იყოს. თუმცა, არის საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც გვაქვს პრინციპული განსხვავებები.

**ზვიად ქორიძე, მედია ექსპერტი:**

– საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტი ბევრ კომპონენტს მოიცავს. რა თქმა უნდა, რაც უფრო ახლოვდება საარჩევნო პროცესი მით, უფრო უფრო ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო ამ პროცესში. უკვე ეს ინიციატივა პარლამენტს გადაეგზავნა. ბიურომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს დაავალა, რომ ეს ინიციატივები განიხილოს. საუბარია საკითხებზე, რომელიც შეეხება საკაბელო ოპერატორებს, რომ ყველა საკაბელო ოპერატორმა გაატაროს ყველა ლიცენზიის მქონე მაუწყებელი საეთერო ზონაში. არის ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის რეგულირების საკითხები. ასევე პოლიტიკურ დებატებთან დაკავშირებით. ძალიან ბევრი საკითხია, რომელიც მნიშვნელოვანია ასახული იყოს საკანონმდებლო პაკეტში.



გია ნოდია

**გია ნოდია, პოლიტოლოგი:**

– ამ საკანონმდებლო ინიციატივაში არის ზოგიერთი მოსაზრება, რომელსაც ვიზიარებ. თუმცა, უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განმარტებული, რა არის სოციალური რეკლამა. არის უფრო სახიფათო დებულებები, რომელიც უფრო ზღუდავს მედიის თავისუფლებას. მაგალითად, ეროვნულმა საკომუნიკაციო კომისიამ უნდა დაადგინოს, რა არის სოციალური რეკლამა და შემდეგ დაავალდებულოს, რომ ის განათავსოს. ამ შემთხვევაში ფაქტიურად მედია თავისუფლებას კარგავს ამ სფეროში და წინასწარი ცენზურის პრეცედენტი შემოგვაქვს, რაც ძალიან სახიფათოა. ასევე პრაქტიკულად თავისუფლება ერთმევათ მაუწყებლებს პოლიტიკური დებატების, ფორმატის კუთხით, რაც ასევე დაუშვებელია. აკადემიურ თავისუფლებაზეა გარკვეული შეტევა, იმ ნაწილში, რაც სოციოლოგიურ კვლევებს ეხება. არა მგონია, პარლამენტმა ეს მიიღოს, მაგრამ თუ მიიღებს, ეს ერთგვარად უკანგადადგმული ნაბიჯი იქნება დემოკრატიის თვალსაზრისით.

– საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორები ამ ცვლილებებში არჩევნების დღეს მონიტორინგის გაძლიერებაზე საუბრობენ. ამაზე რას იტყვით?

– მონიტორინგის საწინააღმდეგო არავის არაფერი არ აქვს. შეიძლება სხვა დებულებებიც არის პოზიტიური. მე არ ვამბობ, რომ სხვა პოზიტიური დებულებები არ არის, მაგრამ ხიფათი, რაზეც ვისაუბრე გადაწონის იმ პოზიტიურს, რაც ასევე არის ამ წინადადებებში.

**ირაკლი მელაშვილი, „არჩევნის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენელი:**

– არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი გულისხმობს არჩევნების დღეს ხმების დათვლას, რაც ითვალისწინებს მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენას დოკუმენტალურად, მანამ, სანამ მოხდება ყუთების გახსნა და ხმების დათვლა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას. ძალიან მნიშვნელოვანი არის ადმინისტრაციული და ბიუჯეტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ცვლილებები. ამ ცვლილებებით იზღუდება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. ასევე დიდი პაკეტი ეხება მედიას. მნიშვნელოვანია კონკრეტული საკითხები, რომელიც ეხება რეკლამას, დებატების საკითხს, გაწერილია, თუ როგორ უნდა გაიმართოს წინასაარჩევნო დებატები. ასევე გაწერილია წინასაარჩევნო პერიოდის საინფორმაციო უზრუნველყოფა, რომ მეტნაკლებად დაცული იყოს თანაბრობის პრინციპი საერთო ნაციონალურ მაუწყებლებში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კანონით დავალდებულება ადგილობრივი ტელევიზიების, საკანონმდებლო ტელევიზიების, რომ ჩართონ ცენტრალური არხები არა მათი ნებასურვილის მიხედვით, არამედ კანონის შესაბამისად. ეს ცვლილებები გამორიცხავს პოლიტიკური მოტივებით ტელევიზიების გამორთვას, ან არჩართვას საკაბელო ტელევიზიებში, რაც ძალიან ხშირია, „მაესტროს“, „კავკასიასა“ და „მეცხრე არხთან“ მიმართებაში.

**დავით უსუფაშვილი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი:**

– ძალიან საყურადღებო წინადადებებია წარმოდგენილი იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციით გამოირჩევიან საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. წინადადებები, რომელიც მოვისმინე კარგად არის გააზრებული. რა თქმა უნდა, მათი გაზიარების შემთხვევაშიც კი საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური პრობლემები ვერ მოგვარდება, მაგრამ სერიოზული წინსვლა იქნება რამდენიმე მიმართულებით. თუ ხელისუფლება გაიზიარებს მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციის წინადადებებს, მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება არჩევნების პროცესში მედიის დაბალანსებული მუშაობის თვალსაზრისით. ეს საბოლოო ჯამში ამომრჩევლის უკეთ ინფორმირებას შეუწყობს ხელს. სერიოზული წინადადებები არის უშუალოდ საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით, ხმის დათვლის პროცესში ობიექტურობის, გამჭვირვალობის დასაცავად.

**ლუის ნავარო, „ენდიაის“ ხელმძღვანელი:**

– ეს ინიციატივა არის მიმდინარე პროცესის ნაწილი, რომელიც კამპანია „ეს შენ გეხებამ წამოიწყო.“ ჩვენ დაინტერესებული ვართ იმ შემოთავაზებებით, რომელიც გაკეთდა. გვინდა გავიგოთ ამ შემოთავაზებების შესახებ, რომ შემდეგ სხვებს გაუზიაროთ და მოვემზადოთ წინასაარჩევნო დელეგაციისთვის, რომელიც „ენდიაის“ მისიით ჩამოვა. ჩვენი დანიშნულება არ არის, რომ პარლამენტისადმი მიმართვას შევუერთდეთ ან ხელი მოვაწეროთ. ჩვენი მიზანია მონიტორინგი, შეფასება.

# ჯონ ბასი: ჰილარი კლინტონი საქართველოში აუცილებლად ჩამოვა“

ნათია ხურცილავა

– მნიშვნელოვან საარჩევნო ციკლში ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის მხარს უჭერდა ქართველ ხალხს, რომ დამდგარიყო კონკრეტული შედეგები, – ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამის – დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების პროექტის პრეზენტაციისას განაცხადა.

ელჩის განმარტებით, ეს შედეგები გამოიხატებოდა გაძლიერებულ გამჭვირვალე წინასაარჩევნო გარემოში, ასევე მეტად თავისუფალი სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში და მოქალაქეებისთვის მეტი ლეგიტიმურობის მქონე არჩევნებში.

– ეს კვლავ რჩება იმ სასურველ შედეგად, რომლის მიღწევაც გვსურდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების გახსნა საქართველოში, – აღნიშნა ჯონ ბასმა.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გახსნილი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები საზოგადოების შეკრების და აქტუალური საკითხების განხილვისთვის ხელსაყრელი ადგილებია. ამერიკის მთავრობამ დემოკრატიული ჩართულობის ათი ცენტრი 5 მლნ დოლარით დააფინანსა.

როგორც ელჩმა განმარტა, საზოგადოებრივი დიალოგის ხელშეწყობა მიზნად ისახავს სამოქალაქო აქტიურობის წახალი-



სებას და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. თითოეულ ცენტრს გააჩნია ბიბლიოთეკა და ინტერნეტი, რათა საზოგადოებას საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მოძიება გაუადვილდეს. ცენტრების თანამშრომლებს შეუძლიათ თემატური ღონისძიებების და შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის პოლიტიკოსებთან და საარჩევნოდ წარდგენილ კანდიდატებთან. სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და დამოუკიდებელ ჟურნალისტებს ცენტრებით სარგებლობა რიგითობის პრინციპით, უფასოდ შეუძლიათ.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების პროგრამა ამერიკის მთავრობის ძალისხმევის ნაწილია, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობას გულისხმობს. ცენტრების მართვას ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო ახორციელებს.

ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ქართველ ჟურნალისტებს მათთვის ყველა საინტერესო კითხვაზე უპასუხა.

ერთ-ერთი ასეთი კითხვა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანის, ჰილარი კლინტონს ვიზიტს ეხებოდა, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის საპასუხო ვიზიტია.

– ვიზიტების გადადება გასაკვირი არ არის, თუმცა ამ შემთხვევაში, საქართველოში ჰილარი კლინტონის ვიზიტი არ გადადებულა. – ამბობს ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი.

ელჩის განმარტებით, ჰილარი კლინტონი ელოდება, რომ მისი ვიზიტი საქართველოში შედგება.

– როგორც კი მექნება დაზუსტებული ინფორმაცია ვიზიტის შესახებ, შეგატყობინებთ. ვიზიტების გადადება გასაკვირი არ არის, თუმცა ამ შემთხვევაში ამ ვიზიტის გადადება არ მომხდარა. სახელმწიფო მდივანს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია მსოფლიო მასშტაბით. ქალბატონი კლინტონი ელოდება, რომ მისი ვიზიტი საქართველოში შედგება. იგი ეცნობა იმ პროგრესსაც, რომელიც არის ქვეყანაში მისი უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ. ასევე, ეცნობა იმ გამოწვევებსაც, რომლის წინაშეც დგას საქართველო, – აღნიშნა ჯონ ბასმა.

ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა კომენტარი ჩიკაგოს სამიტზეც გააკეთა.

ელჩს ჩიკაგოს სამიტზე მისაღები გადაწყვეტილებების წინასწარ განჭვრეტა არ სურს. ელჩის განმარტებით, ეს არ არის გაფართოების სამიტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მიპატიჟებები არავის მისამართით არ გაკეთდება.

– ამის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევს, რომ ნატო-ს გაფართოება ალიანსისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. სამიტზე გაკეთდება განცხადებები იმ პროგრესის შესახებაც, რომელსაც აღწევენ ნატო-ში გაწევრიანების მსურველი ქვეყნები, მათ შორის, საქართველო, – აღნიშნა ჯონ ბასმა.

# მემარჯვენეები ისევ სოფლებში დადიან

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი, დავით გამყრელიძე ცაგერის რაიონის სოფლებში შეხვედრებს აგრძელებს.

– ადგილობრივები ელემენტარულად ოჯახის რჩევას ვერ ახერხებენ, პრივილეგიებით კი მხოლოდ ერთეულები სარგებლობენ. როგორც ცაგერელები ამბობენ, ერთადერთი, რასაც ხელისუფლება აკეთებს, ყოველი არჩევნების შემდეგ გამგებლების შეცვლაა, – აცხადებს დავით გამყრელიძე.

დავით გამყრელიძის თქმით, ცაგერის ახლად გახსნილი საავადმყოფო ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიუწვდომელი ფუფუნებაა.

– ხელისუფლებამ უნდა გვითხრას, გარდა საპენსიო ასაკის და 0-5 წლის ბავშვების დაზღვევისა, რას გეგმავს, რომ ჯანდაცვა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ამ ორ ასაკობრივ ჯგუფს შორის მოქცეული ადამიანები სოფლად ისევე უნდა იქნან დაზღვეული, როგორც პენსიონერები და ბავშვები, – განმარტავს გამყრელიძე. პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან კალანდაძე გურიის რეგიონში სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. „მემარჯვენეები“ გუშინ, ოზურგეთის რაიონის სოფლების, ბახვისა და ნაგომარის მოსახლეობას შეხვდნენ.

– რაიონში უმწვავეს პრობლემას კვლავაც სამედიცინო სერვისზე ხელმიუწვდომლობა წარმოადგენს. სოფლის მოსახლეობას ძალზე უჭირს გაძვირებული სამედიცინო მომსახურების მიღება და ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ ხელისუფლებამ ოზურგეთის რაიონში ბავშვთა ერთადერთი საავადმყოფოს გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. მიზეზი – ე.წ. ჰოსპიტალური „ოპტიმიზაციაა“. ერთია ის საკითხი, რომ ქალაქი და მთელი რაიონი ბავშვთა საავადმყოფოს გარეშე რჩება და მეორე ის, რომ ბავშვთა საავადმყოფოს დახურვა დაახლოებით 30 –კაციანი სამედიცინო პერსონალის სახლებში გასტუმრებას ითვალისწინებს, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

„ახლების“ ერთ-ერთი ლიდერის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით დღეს სოფლებში მოსახლეობის ყველაზე დიდი მიზანი სიღატაკის ზღვარს ქვევით დაფიქსირებაა.

# კამპანია ეს შენ გეხება“ დავით ბაქრაძეს მიმართავს

თეა მარხვაიძე

**გუშინ კამპანიის „ეს შენ გეხება“ — ორგანიზატორი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამართეს მრგვალი მაგიდა, რომელზეც საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებათა პაკეტი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს გააცნეს.**



განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ხელისუფლების, საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების, აგრეთვე, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

შეხვედრაზე საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებმა ისაუბრეს არსებული კანონმდებლობის ხარვეზებზე და დეტალურად წარმოადგინეს საკუთარი წინადადებები, რომლებიც, მათი აზრით, უზრუნველყოფენ პროცედურების დახვეწას არჩევნების დღეს, მედიათანაბრობას საარჩევნო სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში, საერთო მაუწყებლების შეუფერხებელ გავრცელებას საკაბელო არხებით, მედია და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ქვეყანაში.

მიმდინარე წლის 7 მაისს კამპანიის – „ეს შენ გეხება“ მონაწილე არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინეს ახალი საკანონმდებლო წინადადებები საქართველოს ორგანულ კანონში – „საქართველოს საარჩევნო კოდექსსა“ და ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებს შემდეგი საკითხების მოგვარებას:

1. არჩევნების დღეს ხმის დათვლის პროცედურის დახვეწა – პროექტის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო ყუთების გახსნამდე უნდა მოხდეს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვის დოკუმენტურად დაფიქსირება შემაჯამებელ ოქმში. ეს საუბნო საარჩევნო კომისიებს აღარ მისცემს საშუალებას, უბანზე არჩევნების შედეგების გარკვევის შემდეგ შეცვალონ მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობა. ცვლილება, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არასასურველი შედეგების დაფიქსირების შემთხვევაში, ოქმების გადაკეთების შესაძლებლობას გაართულებს. უფრო მკაფიოდ გაიწერა საოლქო კომისიაში არჩევნების შედეგების შეჯამების მექანიზმები.

2. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა – წინასაარჩევნო

პერიოდში ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომების პირდაპირი ინტერნეტ-ტრანსლირება;

3. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების რეგულირება – წინასაარჩევნო შეზღუდვები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე უნდა დაწესდეს საარჩევნო წლის 1 ივნისიდან; იზრდება იმ პირთა წრე, ვისაც არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო კამპანიაში; რეგულირდება საარჩევნო კამპანიაში საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამდეობის პირთა და რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელ პირთა საქმიანობა; იკრძალება სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებებზე/პრეზენტაციებზე აგიტაციის გაწევა; ყალიბდება ბიუჯეტის ხარჯვის უფრო ზუსტი რეგულირებები და საბიუჯეტო რესურსების გამოყენების მკაფიო შეზღუდვები; უფრო მკაფიო ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ვალდებულებები, მათი საქმიანობის გამჭვირვალობის სტანდარტები და სანქციები ამ მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის.

4. საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისთვის მედიათანაბრობის უზრუნველყოფა - ჩამოყალიბდა ფარული რეკლამის დეფინიცია; სოციალური, ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მედია-მონიტორინგის შედეგების სავალდებულო განხილვისა და რეაგირების, აგრეთვე, წინასაარჩევნო დებატების გამართვისა და არჩევნების საინფორმაციო უზრუნველყოფის წესები.

5. საარჩევნო სუბიექტებისთვის გარე რეკლამის თანაბარი ხელმისაწვდომობა – გაიწერა წინასაარჩევნო პერიოდში გარე რეკლამის გამოყენების წესი და ის მექანიზმები, რომლებიც გამორიცხავს ერთი სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გარე რეკლამის მონოპოლიზებას. განისაზღვრა საარჩევნო პერიოდში გარე რეკლამაზე ტარიფის დადგენის წესი.

6. ადმინისტრაციული და სახელმწიფო ორგანოების სარეკლამო ხარჯების საჯაროობა – განიმარტა სარეკლამო ხარჯის ცნება. დაწესდა სანქციები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ კანონის 331 მუხლით დადგენილი საჯაროობის პრინციპების დარღვევისათვის. დადგინდა წესი და პერიოდულობა, რომლითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ საჯარო უნდა გახადოს მის მიერ გაწეული სარეკლამო ხარჯები.

7. განისაზღვრა მაუწყებლობის ტრანზიტის, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებები – პროექტით, საკაბელო ქსელების ოპერატორებს ეკისრებათ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, სათემო მაუწყებლებისა და თანამგზავრული მაუწყებლების სატელევიზიო სიგნალების სავალდებულო წესით რეტრანსლაციის ვალდებულება. ამასთან, ხდება მაუწყებლის დავალდებულება, მიჰყიდოს საკაბელო ქსელების ოპერატორებს თავისი სიგნალის რეტრანსლაციის უფლება ბაზარზე მონოპოლიური ფასების დამყარებისა და სხვა ისეთი პირობების გარეშე, რამაც შეიძლება უსამართლოდ დაარღვიოს ძალთა ბალანსი სამაუწყებლო ბაზარზე.

კამპანიის – „ეს შენ გეხება“ მონაწილე არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და პარლამენტის წევრებს კამპანიის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებების დაუყოვნებლივ განხილვისა და კანონმდებლობაში შეტანისკენ მოუწოდებენ.

საგანგებო მიმართვაში, რომელსაც გუშინ მოეწერა ხელი, ნათქვამია, რომ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები მოქალაქეებთან ერთად მხარს უჭერენ კამპანია „ეს შენ გეხება“ ფარგლებში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით 7 მაისს პარლამენტში წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებებს.

– ეს წინადადებები წინასაარჩევნო პერიოდში ხელს უწყობენ თანაბარი მედიაგარემოს შექმნას, ადგენენ ამომრჩევლისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებებსა და გარანტიებს, აყალიბებენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მკაფიო აკრძალვებს, ამცირებენ ხმის დაცვის პროცესში შედეგებით მანიპულირების რისკს, უზრუნველყოფენ საარჩევნო ადმინისტრაციების და ადმინისტრაციული ორგანოების მეტ გამჭვირვალობას. მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანასწორი და საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. ამიტომ მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, დაუყოვნებლივ განიხილოს და შეიტანოს ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში, – ნათქვამია არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების მიმართვაში.

# თბილისში გეი-აღლუმი გაიმართა

თეა მარხვაიძე

**ხელისუფლების წყალობით თბილისი აღლუმების გარეშე დარჩა. მავანის გადაწყვეტილებით პოლიციის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი გორში გაიმართა. სამხედრო აღლუმი კი ქუთაისში გაიმართება 26 მაისს. არადა ადრე ეს ყველაფერი თბილისში იმართებოდა. ვერ გეტყვით, რომ თბილისელები ამით ძალიან გახარებული იყვნენ, მაგრამ ბავშვებს ხომ მაინც უხაროდათ ფორმიანი ხალხის ყურება.**



საბედნიეროდ თუ საუბედუროდ თბილისი აღლუმის გარეშე არ დარჩენილა. გუშინ თბილისში გეი-აღლუმი გაიმართა. ასეთი აღლუმის ჩატარება თბილისში ადრეც იგეგმებოდა. თუმცა საზოგადოების მკვეთრი რეაქციის გამო ორგანიზატორებმა თავი შეიკავეს. გუშინ კი ეს აღლუმი პარტიზანულად გაიმართა.

ეს მართლაც ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო. მსგავსი ღონისძიება, რომ დააენონსებინათ ალბათ წარმოგიდგენიათ რა მოხდებოდა. ინციდენტი გუშინ მაინც მოხდა. საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდად დასრულდა. საზოგადოება კი ამ თემაზე ალბათ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ილაპარაკებს. გამოხმაურება გუშინდელ ღონისძიებას მართლაც სერიოზული ჰქონდა. საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩიც კი ჩაერია.

ყველაფერი კი ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო. აქ 20-მდე ახალგაზრდა შეიკრიბა. მათ სახეები გაფერადებული ჰქონდათ. ბიჭEბს საყურეები ეკეთათ. რამდენიმე ახალგაზრდას ხელში პლაკატები ეკავათ. „მეც გეი ვარ“, „სიყვარული სიყვარულია“, „ჩემი სხეული მე მეკუთვნის“, „გეი ჩემი მეგობარია“, – ეწერა პლაკატებზე.

ახალგაზრდებს თან ჰქონდათ ნახატები რომელზეც გოგო-ბიჭი, გოგო-გოგო და ბიჭი-ბიჭი იყვნენ დახატული.

ახალგაზრდებმა განმარტეს, რომ ისინი ჰომოფობიას აპროტესტებენ. პროტესტის გამოხატვა მათ მსვლელობით გადაწყვიტეს.

მართალია აქცია ნახევრად-პარტიზანულად იყო ორგანიზებული, მაგრამ მის შესახებ მაინც ბევრს გაუგია. საქმის კურსში იყო მშობლიური პოლიციაც. ისინიმ როგორც უველა აქციაზე აქაც დაბურულ შუშებიანი მანქანებით მივიდნენ. ადგილზე მობილიზებული იყო მედიაც. მალე ცნობისმოყვარეებმაც მოიყარეს თავი. აქციას 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ადევნებდნენ თვალს. საინტერესოა სად იყვნენ მანდატურები, რომლებიც ხშირად ბავშვებს გარეთ არ უშვებენ ხოლმე.

აქციის მონაწილეებმა რუსთაველის მეტროს მიმართულებით დაიწყეს სიარული. მათ გზადაგზა ხალხი ხვდებოდა და ქოქოლას აყრიდა. ქოქოლის დამყრელებს აღლუმის მონაწილეები ირონიულად პასუხობდნენ. და ლამის 5 წუთში ერთხელ გაიძახოდნენ მე ვამაყობ იმით, რომ გეი ვარო.

მშობლიური პოლიციის გარდა ამ აქციის შესახებ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმაც გაიგო. მმკ–მ აღლუმის მონაწილეებს მეცნიერებათა აკადემიასთან „დაუპადიეზდა“. მათ ცოცხალი ჯაჭვი აღმართეს. მმკ-ს წევრებმა ლგბტ-ს წევრებს უთხრეს, რომ არ გაატარებდნენ.

ამ საუბარის მიმდინარეობის დროს სიტუაცია სერიოზულად დაიძაბა. მოულოდნელად გამოვარდა ვიღაც კაცი და აღლუმის მონაწილეებს აგინა. მერე მათი ფერადი პლაკატები იავარჰქმნა.

ამ გაწევ-გამოწევას თვალს მშვიდად და ცინიკურად ადევნებდა რამდენიმე ასეული პოლიციელი.

ცოცხალ ჯაჭვში სასულიერო პირებიც იდგნენ. აქციის მონაწილეებს გზის გაგრძელებაში ისინიც ხელს უშლიდნენ.

ზემოთ ნახსენები გინების შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. აქციის მონაწილეები გზის სავალ ნაწილზე გადავიდნენ და თავის წილ აღშფოთებას გამოხატავდნენ. სამართალდამცავები მაშინვე გამოცოცხლდნენ და რამდენიმე ახალგაზრდა დააკავეს. დაკავებულები მანქანაში ჩასვეს და სადღაც წაიყვანეს.

ამ ფაქტმა ბუნებრივია აქციის მონაწილეები აღაშფოთა. აღშფოთებულმა ახალგაზრდებმა აქცია დაშლილად გამოაცხადეს და დაკავებული მეგობრების მოსაძებნად წავიდნენ. ჟურნალისტებთან საუბარში კი განაცხადეს, რომ მათი აქცია სანქცირებული იყო.

თურმე მერია დაჰპირებია, რომ ისინი უპრობლემოდ გაივლიდნენ თავიანთ გასავლელ გზას. ალბათ გაივლიდნენ კიდევაც მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, რომ არა.

ცოტა ხანში დაკავებულებიც გამოჩნდნენ.

აღლუმის დარბევას, როგორც თავში უკვე ავღნიშნეთ, დიდი რეზონანსი მოჰყვა. აშშ-ს ელჩის ჯონ ბასის შეფასებით, ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრისა და შეხედულების გამოხატვის საშუალება.

მისი თქმით, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც აღიარებს და მხარს უჭერს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, გარანტირებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანის უფლებების დაცვა.

– ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი აზრი და შეხედულება, საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან ზეწოლისა და ძალის გამოყენების გარეშე. ნებისმიერი, დინამიკურად განვითარებადი დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა, – აღნიშნა ჯონ ბასმა.

გუშინ განვითარებულ მოვლენებს „ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს ეხმიანება და მიიჩნევს, რომ საქართველოში ჰომოფობია ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

– თანასწორუფლებიანობის ცნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. სწორედ ამიტომ, თანასწორუფლებიანობის დარღვევა, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტზე, რაც შემდგომში ხდება მათი მარგინალიზაციის მიზეზი.

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება იღწვის იმისათვის, რომ ადამიანების თანასწორობა უზრუნველყოფილი იქნას მაღალ დონეზე. თუმცა, საქართველოში არსებული მდგომარეობა ამ თვალსაზრისით მძიმეა. დისკრიმინაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის ცნებას.

ცალკეული პირებისა და ჯგუფების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აკრძალულია და არღვევს დემოკრატიული საზოგადოების ძირითად პრინციპებს.

საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლოში პირველი საქმე, რომელიც სამართალდამცავთა მხრიდან ჰომოფობიას და სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციას ეხება, „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ 2011 წელს გაგზავნა. საჩივარი „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ საერთაშორისო ორგანიზაცია INთEღIGHთშ-მა და „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ მოამზადეს.

მომჩივნების მტკიცებით, 2009 წლის 15 დეკემბერს, სექსუალური უმცირესობების უფლებებზე მომუშავე ერთ-ერთ ორგანიზაციაშიჩატარებული ჩხრეკის დროს, პოლიციელებმა გადააჭარბეს საკუთარ უფლებამოსილებებს და დაარღვიეს კანონით დადგენილი პროცედურები. მსგავსი მოპყრობა ჰომოფობიით იყო გამოწვეული და სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების მხრიდან გახდნენ არაადამიანური, დამამცირებელი და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი. აღნიშნული საქმე ნათლად გამოხატავს პრობლემის აქტუალობას საქართველოში, – ნათქვამია განცხადებაში.

ამერიკის საელჩოსგან განსხვავებული პოზიცია ჰქონიათ თურქეთის საელჩოს წარმომადგენლებს. მმკ-ს მიერ დარბეული აქციის მონაწილეები თურქეთის საელჩოსთან მივიდნენ. სადაც საპროტესტო წერილის შეტანა სცადეს.

როგორც მათი წარმომადგენლები აცხადებენ, მათ ევროკავშირის წევრი ქვეყნის საელჩოს საქართველოში სექსუალურ უმცირესობებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებზე რეაგირების მოთხოვნით მიმართეს.

როგორც „ნიუსპრესს“ ორგანიზაციის წარმომადგენელმა დავით შუბლაძემ განუცხადა, თურქეთის საელჩომ წერილის მიღებაზე უარი განაცხადა, მათ საელჩოში ურჩიეს წერილი ელექტრონული ფორმით მიეწოდებინათ.

შუბლაძის თქმით, გუშინ ისინი რუსთაველის გამზირზე მშვიდობიან აქციას ატარებდნენ და არანაირ პროპაგანდას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, საზოგადოების ნაწილის მხრიდან მათზე ზეწოლა განხორციელდა.

– დღესდღეობით, ძალიან ბევრი ცუდი ფაქტი ხდება. საუბარია ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და დაცინვაზე. ეს არის ჰომოფობია. ეს საზოგადოების გაუაზრებელი შიშია, რადგანაც, კარგად ვნახეთ, რა მოხდა მეცნიერების აკადემიის შენობის წინ, – აღნიშნა დავით შუბლაძემ.

ამ დაპირისპირებამ აქციის მონაწილეები ვერ შეაშინა. ისინი კიდევ ერთი აქციის გამართვას აპირებენ. ეს აქცია 21 მაისს უნდა გაიმართოს.

# სანდრო ბრეგაძე: თბილისში გეიაღლუმი სპეცსამსახურებმა მოაწყვეს“

**ნონა ცაბაძე**


სანდრო ბრეგაძე

ფილარმონიასთან გამართული გეიაღლუმი სპეცსამსახურების მოწყობილია აცხადებს ახალთაობასთან ინტერვიუში სანდრო ბრეგაძე. მას მიაჩნია, რომ ამით ქვეყანაში არეულობის შემოტანა და ხალხის ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა სურთ. ბრეგაძე აცხადებს, რომ ამით ხელისუფლება დავით გარეჯის თემის გადაფარვას ცდილობს.

***— ბატონო სანდრო, თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც აღლუმის გამართვასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელეთ და ამის წინააღმდეგი გამოხვედით, მაგრამ ეს აღლუმი მაინც ჩატარდა...***

— პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ეს არ იყო გეიაღლუმი, ეს იყო სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ღონისძიება, იმისათვის, რომ მოსახლეობის ყურადღება იმ სერიოზული პრობლემებიდან და იმ სერიოზული პოლიტიკური კრიზისიდან, რომელიც დღეს ქვეყანაშია, გადაიტანონ სხვა საკითხებზე. ამ ე.წ. გეიაღლუმის ორგანიზატორები პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ არიან სპეციალური სამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც ასრულებენ აგენტურ დაავადებებს. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მათი მიზანი იყო დაძაბულობა შემოეტანათ მოსახლეობაში. მე თავად შევესწარი ამ მოვლენას და ხალხი ამას დიდი აღშფოთებით შეხვდა. სწორედ ეს უნდოდათ გამოეწვიათ უბრალო გამვლელები, მომხდარიყო შეტაკება და შემდეგ ეს უდანაშაულო ხალხი დაეპატიმრებინათ. ესენი არიან უზნეო ადამიანები, აგენტები, ადამიანები, რომლებიც პირდაპირ ასრულებენ სპეციალური სამსახურების დაავადებას და რომელთა მიზანიც არის ქვეყანაში დაძაბულობის და არეულობის შემოტანა. როდესაც ჩვენ გვაპატიმრებენ არაფრის გულისთვის, როდესაც 26 მაისს მოხდა საშინელი დარბევა. მე მაინტერესებს, რატომ არ იქნა დაპატიმრებული ამ უმსგავსო და პროვოკაციული აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები?!

***— თქვენი აზრით, რატომ არ დაარბია პოლიციამ?***

— იმიტომ, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ იყო ეს ყველაფერი ინსპირირებული. ხელისუფლების მაღალჩინოსნები მფარველობენ ამ ე.წ. გეებს, მათ ორგანიზაციებს. იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან ქართველი ერის საწინააღმდეგო ქმედებებს. გეიაღლუმის ორგანიზატორები იქცეოდნენ საკმაოდ გამომწვევად, ორმა მათგანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გამვლელს. საქართველოში დავედით იმ დონეზე, რომ ჰომოსექსუალები ჩვენს მოქალაქეებს შეურაცხყოფას აყენებენ ქუჩაში. მე პირველად თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადე, რომ ეს აქცია იგეგმებოდა. მილიონ-ნახევარი ამერიკული დოლარი გამოიყო ამისთვის. მე მაინტერესებს, როდესაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს დასდევენ კონტროლის პალატის წარმომადგენლები, უმოწმებენ ანგარიშებს და ჯარიმებს ადებენ, იმასთან დაკავშირებით თუ საიდან აქვთ პლაკატების და ოფისების ფული. რატომ არ მოხდა იგივე გეი აღლუმის ორგანიზატორების და მათი ორგანიზაციების მიმართ?! პასუხი აქაც ნათელია, რომ ეს არის ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ ინსპირირებული აქცია, რომელიც მიზნად ისახავს პირველ რიგში პროვოცირებას, მეორე რიგში ყურადღების გადატანას და მესამე ის არის, რომ ეს ადამიანები თვითონაც ამ ორიენტაციის არიან.

***— ფიქრობთ, რომ სიტუაციის დაძაბვა და არეულობის შემოტანა სურდათ ქალაქში?***

— ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში თბილისში, სადაც მოსახლეობის 98-99% არის ტრადიციული ქართული ზნეობის და მორალის მატარებელი ადამიანები. ესენი არიან მორწმუნე ადამიანები და როგორია, როდესაც ასეთი უზნეობის პროპაგანდა ხდება ცენტრალურ ქუჩებში. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვება საშინელი რეაქცია მოსახლეობის მხრიდან და ეს აუცილებლად გადაიზრდება შეხლა-შემოხლაში და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ეს ავადმყოფი ხალხი თვითონ გადმოდიან შეურაცხყოფაზე, იმიტომ, რომ ისინი ასრულებენ სპეცსამსახურების შეკვეთას. ეს ხალხი პირდაპირ ვაცხადებ, რომ ასრულებენ ძალოვანი სტრუქტურების დავალებებს, რათა მოხდეს პროვოცირება. ხელისუფლების საკმაოდ მაღალი ფენის მიერ კონტროლირდებიან ეს ადამიანები. მათ უნდა იხმარონ ჭკუა, იმიტომ, რომ ისევ და ისევ მათ შემოუბრუნდებათ ცუდად. გეების მფარველობა იმ ფონზე, როდესაც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი გადაცემული არის უცხო ქვეყნისთვის, გეების მფარველობა მაშინ, როდესაც ეკლესიებს ანგრევენ, გეების მფარველობა, როდესაც მართლმადიდებლობისთვის მებრძოლი ბიჭები ციხეში სხედან, ეს არის ყველაზე აღმაშფოთებელი რამ, რაც კი შეიძლება ადამიანის გონებამ მოიფიქროს! სწორედ დავით გარეჯის თემის გადასაფარად მოაწყვეს ეს სიბინძურე! მოსახლეობას ყველანაირი გაჭირვების ატანა შეუძლია, მაგრამ ქართველი ერი ვერასოდეს ვერ აიტანს ასეთი უზნეობის პროპაგანდირებას. ამის პროპაგანდირება აბსოლუტურად ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში იზღუდება და აბსოლუტურად ყველა ნორმალურ ქვეყანაში იკრძალება. რომის პაპზე უფრო მეტი კათოლიკეები ვერ იქნებიან. ჩახედონ ევროპულ კანონმდებლობას, სადაც პირდაპირ წერია, რომ ჰომოსექსუალიზმის და უზნეობის პროპაგანდა ისჯება კანონით.

# სად აგზავნის ხელისუფლება ტრაქტორებს

**ქეთი ხომერიკი**

,,თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გია ყრუაშვილი ხელისუფლებას ხალხის მოტყუებაში ადანაშაულებს და მოუწოდებს პიარ-კამპანიებს თავი დაანებოს და რეალურად იზრუნოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ,,ახალ თაობას“ ,,თავისუფალი საქართველოს“ რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი გია ყრუაშვილი ესაუბრა.

**გია ყრუაშვილი:**

— საქართველოს ხელისუფლებამ პომპეზურად დაიწყო ტრაქტორიზაციის კამპანია. სახელისუფლებო მედია ყოველდღიურად აშუქებს, რომ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონს ხელისუფლებამ საჩუქრად ასობით ტრაქტორი გადასცა და რომ ეს სოფლის მეურნეობის აღორძინების დასაწყისია, რეალურად კი ეს ასე არ არის და საქმე გვაქვს ე.წ. ,,კარუსელთან“.

***— რას გულისხმობთ?***

— რას და ხელისუფლება სხვადასხვა რეგიონებში ერთი და იგივე ტრაქტორებს აგზავნის. ასობით ტრაქტორზე საუბარი ბლეფია და მეტი არაფერი. აი, მაგალითად, უდიდესი პრობლემების წინაშე დგას ხარაგაულის რაიონის სოფლები. გაზაფხული სრულდება და ხარაგაულში პრაქტიკულად, არავის აქვს მიწა დამუშავებული. ხარაგაულის მოსახლეობას თავად უწევს ამორტიზებული ტრაქტორების შეკეთება. ისინი საკუთარი სახსრებით ყიდულობენ ნაწილებს ხელისუფლების მიერ სამადლოდ დატოვებული ორიოდე ტრაქტორისთვის.


გია ყრუაშვილი

მოვუწოდებ, ხელისუფლებას თავი დაანებოს პიარკამპანიების წარმოებას და რეალურად იზრუნოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სოფლის მექანიზაციის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი ხარჯები კოლოსალურია და უნდა მოხდეს მათი მიზნობრივად განკარგვა. ჩვენ ვგეგმავთ საპროტესტო კამპანიის დაგეგმვას ხელისუფლების მიერ მოტყუებული მოსახლეობის დასაცავად. აქვე გეტყვით, რომ ეს ხელისუფლება ყველაფერს კადრულობს და ახლა უკვე წყალდიდობის შედეგებითაც სარგებლობს.

***— დააკონკრეტეთ...***

— სამწუხაროდ, საზოგადოება ხშირად გამხდარა ისეთი ფაქტის მომსწრე, როდესაც ნაციონალურ ხელისუფლებას სპონტანურად, ერთ ღამეში გადაუწყვეტია ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების გასხვისების საკითხი. ჩამონათვალი იმდენად დიდია, რომ მისი სრული აღრიცხვა სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. ტენდენცია ახალი არ არის და იმდენად დიდი ინერცია აქვს აღებული, რომ როგორც ჩანს, შეჩერებას არც კი აპირებენ და პირიქით, ,,მადა მოემატათ“. უკვე რამდენიმე დღეა, რაც დიდუბე– ჩუღურეთის მუნიციპალიტეტში აღარ ფუნქციონირებს № 67 ბაგა-ბაღი, რომელიც მდებარეობს წინამძღვრიშვილის ქუჩა № 100-ში. ჩვენ, ,,თავისუფალ საქართველოს“ დაგვიკავშირდა რამდენიმე ბავშვის მშობელი – მაისურაძე ვალერი, ცინცაძე მერი, მჭედლიშვილი მარიამი დახმარების თხოვნით, რომ მათ დავეხმაროთ ბაგა-ბაღის გადარჩენაში. საქმე ეხება ნაციონალური მოძრაობის გაზრდილ ,,სტომაქს“, რომლის მადა ვეღარ ცხრება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას გაუჩნდა სურვილი ისარგებლოს რამდენიმე დღის წინ მომხდარი მიწისძვრით და უხვი ნალექით. მიწისძვრის შედეგად ხელისუფლებამ სასწრაფოდ გასცა ბრძანება საბავშვო ბაღის დახურვასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა შენობამ მიიღო დაზიანება, რაც საფრთხეს უქმნის მის მდგრადობას, რასაც ბავშვთა მშობლები კატეგორიულად უარყოფენ.

***— რატომ უნდა გადაედგა ხელისუფლებას ეს ნაბიჯი, რით ხსნით ამას?***

— ჩვენთვის ნამდვილად გაუგებარია, ის ფაქტი, რომ თუ კი, შენობა ნამდვილად ამორტიზებულია, რატომ მალავს ხელისუფლება, ან თუკი, ფაქტი ნამდვილად რეალობაა, რატომ არ გამოყო მერიამ შენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა გადასულიყო საბავშვო ბაღი? რატომ და როგორც ჩვენ გვაცნობეს, აღნიშნული შენობით დაინტერესებულნი არიან ნაციონალური ხელისუფლების კონკრეტული ჩინოვნიკები.

***— ვინ არიან ეს ჩინოვნიკები?***

— დავაზუსტებთ თუ არა შეგატყობინებთ, მანამდე კი მივმართავთ, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას ერთის მხრივ სასწრაფოდ გამოყოს შენობა, სადაც დროებით გადავა საბავშვო ბაღი და მეორეს მხრივ შემოიჭიროს ,,სტომაქზე“ ქამარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებენ ადეკვატურ პასუხს.

## ბურჯანაძე საქართველოს რკინიგზის“ აქციების გასხვისების წინააღმდეგია

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საქართველოში სტრატეგიული ობიექტების ცნების გაუქმებას დანაშაულს უწოდებს. ამის შესახებ ბურჯანაძემ „საქართველოს რკინიგზის“ აქციების 25%-ის ლონდონის საფონდო ბირჟაზე შესაძლო განთავსების საკითხის კომენტირებისას განაცხადა.



„რკინიგზის გაყიდვასთან დაკავშირებით საუბარი საკმაოდ დიდი ხანია მიდის, ისევე როგორც გაზსადენის გაყიდვასთან დაკავშირებით. მე ვიყავი ყოველთვის კატეგორიული წინააღმდეგი როგორც რკინიგზის, ისევე გაზსადენის გაყიდვის, ისევე როგორც წინააღმდეგი ვიყავი ენგურჰესის გასხვისების იმიტომ, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს სტრატეგიული ობიექტები, რომელიც დარჩება სახელმწიფოსა და ხალხის საკუთრებაში და რომელიც არ გასხვისდება. არსებობს გარკვეული მექანიზმი იმისა, თუ როგორ შეიძლება ამ ობიექტების რენტაბელურობის ამაღლება, როგორ შეიძლება მათი შენარჩუნება და რეაბილიტაცია ოღონდ ისე, რომ სახელმწიფოს წილი იყოს 51 პროცენტზე მეტი. ეს არის უბრალოდ დანაშაული, როდესაც საქართველოში გაუქმდა სტრატეგიული ობიექტების ცნება და როდესაც ქვეყანას პრაქტიკულად სტრატეგიული ობიექტი თავის მმართველობაში აღარ რჩება“-აღნიშნა ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**



# ევროპა ოქტომბერში სამართლიან არჩევნებს ითხოვს

შალვა ჯოხაძე




ევროკომისიამ ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა ევროკავშირსა და მის მეზობლებს, მათ შორის საქართველოსთან ურთიერთობებში არსებული პროგრესის შესახებ. ამის შესახებ ინფორმაციას სივილ ჯორჯია ავრცელებს. ანგარიში მოიცავს 2011 წელს რეფორმების განხორციელების კუთხით მიღწეულ წარმატებებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრ ქვეყნებში და იმ მიმართულებებს გამოყოფს, სადაც შემდგომი ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო.

სივილ ჯორჯიას ცნობით, ანგარიშში საქართველოს შესახებ რეკომენდაციათა ფართო სპექტრია წარმოდგენილი, დაწყებული შიდაპოლიტიკური რეფორმებით და დამთავრებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებით. აქ არის მოწოდება ჩვენი ქვეყნისადმი, რომ ოქტომბერში თავისუფალი, სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს და კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები მოაგვაროს; უფრო ინტენსიური გახადოს სეპარატისტულ რეგიონებთან ჩართულობის პოლიტიკა დე ფაქტო ხელისუფლებებთან პრაგმატული თანამშრომლობის დამყარების გზით; განაგრძოს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების განმტკიცება; გააძლიეროს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ეფექტურობა; უზრუნველყოს სისხლის სამართლის სისტემის შემდგომი ლიბერალიზაცია; გაზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულება და მათზე კონტროლი, ასევე ებრძოლოს დაუსჯელობას და გამოიძიოს სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ ბრალდებები; გააუმჯობესოს შრომითი უფლებები; განაგრძოს ევროკავშირთან დაახლოება ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში. მოკლედ, ეს პრობლემათა ის სპექტრია, რომელთა შესახებაც ძალიან ბევრი რამ ვიცით და თანაც, საკუთარი გამოცდილებიდან. თუმცა, ევროპელების მიერ დანახული ქართული პრობლემატიკა მაინც საინტერესოა. ამიტომაც, სივილ ჯორჯიას მიერ გავრცელებული თარგმანის მიხედვით, გავეცნოთ, საქართველოში არსებულ რა პრობლემებზე ამახვილებენ ევროპაში ყურადღებას და რას მოუწოდებენ ჩვენს ხელისუფლებას.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2011 წლის დეკემბერში მიღებულ ახალ საარჩევნო კოდექსში ვენეციის კომისიის რამდენიმე რეკომენდაცია ასახულია, თუმცა, მასში ასევე ნათქვამია, რომ კითხვები კვლავ რჩება საარჩევნო გარემოს სამართლიანობასთან დაკავშირებით.

– საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს ზოგიერთ მთავარ რეკომენდაციას, კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევას სხვადასხვა რაოდენობის ხმები სჭირდება, – საუბარია ანგარიშში.

ვენეციის კომისია დიდი ხანია ურჩევს საქართველოს ხმების თანასწორობა უზრუნველყოს მეტნაკლებად თანაბარი ზომის ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების ფორმირების გზით. კომისიამ განაცხადა, რომ უთანაბრობა ოლქებს შორის, სადაც ყველაზე პატარა და დიდ ოლქს შორის სხვაობა 6 000-დან 150 000 ამომრჩევლამდე მერყეობს, დარტყმას აყენებს ხმის უფლების თანასწორობის პრინციპს.

ანგარიშის თანახმად, ახალი საარჩევნო კოდექსი არ აგვარებს საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმების ბუნდოვანებას და მასში მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო რესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება არასათანადოდ არის რეგულირებული.

ცოტა ხნის წინ არჩევნებზე დამკვირვებელმა და უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოამზადეს, რომელიც, ავტორთა თქმით, პარლამენტის მიერ გაზიარებისა და დამტკიცების შემთხვევაში, საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებს. სხვა საკითხებთან ერთად, ეს პაკეტი ასევე მოიცავს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვის მექანიზმებსაც.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოში სახელმწიფო მმართველობა კვლავაც გამოირჩევა აღმასრულებელი ხელისუფლების დომინანტური პოზიციით, სუსტი საპარლამენტო კონტროლით და სასამართლო ხელისუფლების არასაკმარისი დამოუკიდებლობით.

– მიუხედავად სასამართლო სფეროში რამდენიმე მიმართულებით მიღწეული აშკარა პროგრესისა, ზოგიერთი პრობლემა კვლავ რჩება, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა, მთავარი პრობლემა უკავშირდება პროკურორის ძლიერ პოზიციას და სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაკლებობას, – ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, ეს იმითაც დასტურდება, რომ გამამტყუნებელი განაჩენების დონემ 98%-ს მიაღწია. ამასთან, შარშან, 2010 წელთან შედარებით, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა.

ანგარიშის მიხედვით, გამამართლებელი განაჩენების დაბალი მაჩვენებლისა და მკაცრი სასჯელების გამო ხშირია საპროცესო შეთანხმების გამოყენების მაჩვენებელი, კერძოდ საქმეთა 87.5%-ში.

2011 წლის ნოემბერში ძალაში შევიდა ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლითაც გაიზარდა სამართლებრივი კონტროლი საპროცესო გარიგებებზე. კერძოდ, მოსამართლეები მოვალენი არიან, პროკურორსა და ბრალდებულს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმების კანონიერებასთან ერთად, მისი სამართლიანობაც შეაფასონ.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპატიმროების გადატვირთულობა კვლავ შეშფოთების საგანს წარმოადგენს. 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში 24,244 პატიმარი იყო, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაჩვენებელია ერთ სულ მოსახლეზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ბოლო დროს აქცენტის გაკეთებას ცდილობს ალტერნატიული სასჯელების გამოყენებაზე, რაც გარკვეულ წილად მიზნად ისახავს რომ პატიმართა რაოდენობა შემცირდეს.

ანგარიშის თანახმად, შესამჩნევი წინსვლა შეინიშნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეში და სისხლის სამართალწარმოებაში უფრო ლიბერალური მიდგომების შემოღების კუთხით.

მედიის თავისუფლების კუთხით, ანგარიში შეშფოთებას გამოხატავს იმის თაობაზე, რომ სადისტრიბუციო ქსელები თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის. ზოგიერთი სატელევიზიო არხი არ არის ხელმისაწვდომი მაყურებლების უფრო ფართო რაოდენობისთვის, ვინაიდან ზოგიერთი საკაბელო ქსელი ტრანსლირებაზე მათ უარს ეუბნება.

ანგარიშის თანახმად, შემდგომი პროგრესია მისაღწევი სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის გასაუმჯობესებლად და ანგარიშვალდებულების გასაზრდელად;

დოკუმენტში, ასევე, შეშფოთებაა გამოხატული 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების გამო.

– ასევე, შეშფოთების საგანს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიმართ დემოკრატიული ზედამხედველობის ნაკლებობა, – ნათქვამია ანგარიშში.

ამასთან, ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი კორუფციის დაძლევის საქმეში. თუმცა, მასში, ასევე, აღნიშნულია ის მზარდი შეშფოთება, რომ საკუთრების უფლებები სრულად არ არის დაცული საქართველოში.

ანგარიშში ნათქვამია, რომ შარშან მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც რელიგიურ უმცირესობებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების საშუალება მიეცათ, რელიგიის თავისუფლების სფეროში ერთი მთავარი მიღწევა იყო.

ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული სეპარატისტულ რეგიონებზეც. ევროკავშირი მოუწოდებს თბილისს, გააფართოვოს ჩართულობის პოლიტიკა სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ დე ფაქტო ხელისუფლებებთან პრაგმატული თანამშრომლობის გზით.

– გადადგით პრაგმატული და კონსტრუქციული ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყოთ ვაჭრობას, მოგზაურობას და ინვესტიციებს ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, – ნათქვამია ანგარიშში.

მასში აღნიშნულია, რომ თბილისმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სეპარატისტულ რეგიონებთან დეიზოლაციისა და ჩართულობის სტრატეგიის განსახორციელებლად, მათ შორის გაიზარდა ძალისხმევა, რომ ჯანდაცვის მომსახურება გაეწიოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობას.

ანგარიშის თანახმად, ამ რეგიონების მაცხოვრებლებისთვის ჯანდაცვის მომსახურების გაწევა კონსტრუქციული ნაბიჯია შერიგებისკენ, თუმცა ანგარიში ასევე აღნიშნავს, რომ ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს ისეთი წინაპირობების გარეშე, როგორიცაა დაჟინებული მოთხოვნა, რომ სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლეებმა აუცილებლად მიიღონ საქართველოს მიერ შემოღებული პირადობის მოწმობები.

გასულ წელს საქართველომ სტატუს – ნეიტრალური პირადობის დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტები შემოიღო სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის, რათა ამ დოკუმენტების მფლობელებს საზღვარგარეთ მოგზაურობის და დანარჩენ საქართველოში არსებული სოციალური მომსახურეობით და პრივილეგიებით სარგებლობის საშუალება ჰქონდეთ.

ევროკავშირი მიესალმება ამ დოკუმენტების შემოღებას, თუმცა ასევე მოუწოდებს თბილისს, რომ სანამ დოკუმენტი ამ რეგიონების მცხოვრებთა უფრო ფართო ფენისთვის არ გახდება მისაღები, ის მგზავრობის ერთადერთ საშუალებას არ უნდა წარმოადგენდეს.

სოხუმმა და ცხინვალმა, რომელთაც გააკრიტიკეს ამ დოკუმენტების შემოღება, განაცხადეს, რომ საქართველოს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები ფაქტობრივად ამ ორ რეგიონს შემდგომი იზოლაციისკენ უბიძგებს.

– ეს დოკუმენტები მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოს ჩართულობის სტრატეგიაში; თუმცა, ვინაიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებები ამ დოკუმენტებზე კატეგორიულ უარს აცხადებენ, მნიშვნელოვანია, რომ ის შენარჩუნდეს, როგორც დეიზოლაციის ვარიანტი და არა როგორც აფხაზების და ოსების მოგზაურობის ერთადერთი საშუალება, რათა ნდობის აღდგენისა და დიალოგთან დაკავშირებული ინიციატივები არ შეფერხდეს, – ნათქვამია ანგარიშში.

სივილ ჯორჯია იტყობინება, რომ დოკუმენტის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის გამოყენება კვლავ პრობლემურ საგნად რჩება ჩართულობის სტრატეგიის ეფექტური განხორციელებისთვის.

## დემოკრატიული მოძრაობა“ ბათუმის ცენტრში 40-სართულიანი შენობის აშენებას აპროტესტებს

„დემოკრატიული მოძრაობის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები ბათუმის ცენტრში 40-სართულიანი მრავალფუნქციური შენობის აშენებას აპროტესტებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, ტერიტორია ერთ ლარად არის გასხვისებული და ზუსტად იმ ადგილზე იუნკერების საფლავებია.

„რაც შეეხება ზნეობრივ მხარეს – განა ნორმალურია გმირების საფლავზე გააჩაღო გრანდიოზული მშენებლობა, ნაცვლად იმისა, რომ ღირსეული პატივი მიაგო სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს, დადგა მათ საფლავებზე თუნდაც მცირე ზომის, მაგრამ ღირებული მხატვრული ძეგლი და გახადო ეს ადგილი ახალგაზრდებისათვის პატრიოტული გრძნობების გაღრმავებისა და წინაპრებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების სიმბოლოდ. მოგეხსენებათ, რომ აქ დაკრძალულია 50-მდე მეომარი, მათ შორის ერთი ქალი და ამ ადამიანებმა, იუნკერებმა თავი შესწირეს იმას, რომ აჭარა ხელმეორედ არ მოწყვეტოდა დედა-სამშობლოს“, – განაცხადა გურამ ხოზრევანიძემ.

მისივე თქმით, ნაგებობა მთლიანად ჩახერგავს სივრცეს და დაუკარგავს ხიბლს ძველი ბათუმის ისტორიულ უბანს. ზოგადად, ტენდენციამ, ბათუმის ძველი უბნების სიმყუდროვე გადაიფაროს ცათამბჯენებითა და სრულიად გაუგებარი კოშკებით, უკვე შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რაც ასევე შემაშფოთებლად მიგვაჩნია ჩვენი ქალაქისათვის.

„იკვეთება ჩვენი ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელის იდეა-ფიქსი: რაც შეიძლება მეტად შეიცვალოს ქალაქის სილუეტი, წაერთვას მას ტრადიციული იერსახე და ფუნქცია და აქციოს იგი კაზინოებისა და სხვა საეჭვო გასართობი დაწესებულებების დედაქალაქად“, – აღნიშნა ხოზრევანიძემ.

მისივე განცხადებით, არსებული ხელისუფლების გაუაზრებელი გადაწყვეტილებებს, საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო, ეროვნული და რელიგიური ინტერესების უგულვებელყოფას გამოუსწორებელ შედეგებამდე მიჰყავს ქვეყანა და ეს ყველაზე ნათლად დღეს აჭარის მაგალითზე ჩანს.

ინტერპრესნიუსი

# „ქართულ ოცნებას“ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ქვემო ქართლში შეხვდა

შალვა ჯოხაძე

ქვემო ქართლში „ქართული ოცნების“ საქმიანობაზე შეფობა ზვიად ძიძიგურმა იკისრა და მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა. ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ რაიონად ქვემო ქართლში თეთრიწყარო იქცა. თუმცა იქ ოფისის გახსნამდე მაინც მივიდა საქმე. აი, მაგალითად, გარდაბანში ამასაც ვერ ახერხებენ. ყველა, ვინც ივანიშვილის კოალიციისათვის ოფისის მიქირავებას დათანხმდა, ისე დააშინეს, რომ მიცემული სიტყვა უკან წაალებინეს. პოლიციაში ხელშეკრულების გაუქმების პირობა დაადებინეს მამუკა მატკავასაც, რომელმაც „ოცნებას“ ოფისი რუსთავში მიაქირავა.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ზვიად ძიძიგურმა გუშინ მედიას რუსთავში მათი ოფისის შენობის მეპატრონე, მამუკა მატკავა წარუდგინა. მამუკა მატკავამ განაცხადა, რომ „ქართული ოცნებისათვის“ ოფისის მიქირავების შემდეგ, პრობლემები შეექმნა. ის პოლიციაში დაიბარეს და დაკითხვა მოუწყვეს. მატკავამ აღნიშნა, რომ ზეწოლის მიუხედავად, არაფერს უშინდება „ქართულ ოცნებას“ უერთდება.

**ზვიად ძიძიგური:**

– ხელისუფლება პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ქვემო ქართლში მაქსიმალურ პრობლემებს უქმნის ისეთ ელემენტარულ საკით-



ხში, რაც არის ოფისების გახსნა. ეს პოლიტიკური დევნის კლასიკური მაგალითია. ჩვენ ამ დევნის შესახებ ინფორმირებული გვყავს უცხოური ორგანიზაციები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი.

რუსთავის მაგალითზე მოგახსენებთ. „ქართული ოცნების“ ოფისისათვის ფართი მამუკა მატკავამ მოგვაქირავა. ეს ფაქტი ძალიან ბევრჯერ გახდა დავიდარაბის საგანი. უკვე გამზადებული ოფისის გახსნის გადადება რამდენჯერმე მოგვიხდა. ჩვენ ახლა ამ ოფისში კი ვიმყოფებით, მაგრამ ბატონი მამუკას წინააღმდეგ ხელისუფლებამ დევნა დაიწყო. ეს იყო პოლიტიკური ზეწოლა და ეს ზეწოლა დღესაც გრძელდება.

მამუკა მატკავა არის ჯანმრთელი ადამიანი, არ არის ნარკომანი, არ ინახავს იარაღს, არ არის კონტრაბანდისტი. არც მისი ძმა არის ასეთი, არც – მისი ოჯახი. წინასწარ ვაცხადებთ, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებმა, რომლებიც დღეს არიან საქართველოში, ასევე დიპკორპუსმა იცოდეს, რომ თუ ბატონი მამუკას მიმართ ხელისუფლების მხრიდან რაიმე სახის უკანონობა განხორციელდება, ეს იქნება ნიმუში იმისა, თუ როგორი ზეწოლაა, განსაკუთრებით ქვემო ქართლში.

ჩვენთან საუბრისას, მამუკა მატკავამ გაიხსენა, თუ როგორ წაიყვანეს რუსთავის პოლიციაში და დაჰკითხეს.

**მამუკა მატკავა:**

– „ქართულ ოცნებასთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რუსთავის პოლიციაში დამიბარეს და დაკითხვა მომიწყვეს, სადაც დამაწერინეს, რომ მე ვთხოვდი „ქართულ ოცნებას“ და გავაუქმებდი ხელშეკრულებას.

ამის შემდეგ, ჩემთან ოჯახში პოლიციის თანამშრომელი იყო მოსული, დედაჩემი დაჰკითხეს. ჰკითხეს, რამდენი შვილი ჰყავს, ვინ რას საქმიანობს, სად ცხოვრობს. ამასობაში მეც მოვედი. სამართალდამცავმა მანქანის ნომერი ჩაიწერა და მითხრა, მე ასე დავდივარ სამეზობლოში და აღწერას ვაკეთებო. მისი წასვლის შემდეგ შევამოწმე სამეზობლოში და არავისთან ყოფილა მისული...

არ ვაპირებ უკან დახევას, ვებმები ბრძოლაში, წაიღეთ ეს ქონება, რომელიც მე მაქვს. მე დღეიდან „ქართული ოცნების“ ბრძოლაში ვერთვები და ბატონი ბიძინა ივანიშვილის გვერდით დავდგები სიმართლის საპოვნელად.

# ოპოზიციის გაერთიანების გარეშე არჩევნებს აზრი არა აქვს

**ხელისუფლება, როგორც ჩანს, აღარ აპირებს, დააბრუნოს სახალხო კრების პირადი ქონება. 26 მაისის დარბევის შემდეგ სახალხო კრებამ სერიოზული ზარალი მიიღო, მერაბიშვილის პოლიციელები კი სახალხო კრების წარმომადგენლებს ეუბნებიან, რომ ავტომანქანები სადღაც უკვალოდ დაიკარგა.**
**ამ თემაზე „ახალ თაობას“ სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი ესაუბრება.**

თამარ ნინიძე

***– „სახალხო კრების ქონებასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა? გიბრუნებენ დაყადაღებულ ქონებას?***

– არაფერს აბრუნებენ. ახორციელებენ რეკეტს ამ სიტუაციის პირდაპირი მნიშვნელობით, ყაჩაღობაა ხელისუფლების მხრიდან, ავაზაკები არიან, რაიმე ბეჭედი ან პატარა ნივთი კი არ არის დაკარგული, არამედ უზარმაზარი ტრაილერია დაკარგული, გახსოვთ ,ალბათ, ის ტრაილერი, რომელზეც გამართული იყო სცენა, მიტინგზე ჩვენ გამოვდიოდით ამ სცენაზე და გახმოვანების აპარატურა იყო დადგმული. ეს უზარმაზარი ტრაილერი თავისი აპარატურით დაკარგულია, ასე გვეუბნებიან, დაკარგულიაო, თითქოს საყურე იყო, რომელიც სადღაც ქუჩაში დაიკარგა. დაკარგული და გატაცებულია ავტომანქანები, ვითომდაც კონფისკაციას დაქვემდებარებული, ერთ-ერთი ავტომანქანა „დოჯი“, შეარემონტეს და ახლა თვითონ პოლიციელები სარგებლობენ.

***– რა მოტივი აქვთ, რას ამბობენ, რატომ არ ვაბრუნებთო?***

– ტრაილერს და აპარატურას ვერ ვპოულობთო. რა მოტივი უნდა ჰქონდეთ, არიან თავხედები.

***– რა ხდება სათაო ოფისთან დაკავშირებით?***



– ოფისი ერთი წელი დალუქული ჰქონდათ, ფაქტობრივად ჩვენ უკვე აღარ გვეკუთვნოდა, პატრონს ეკუთვნოდა და როგორც იქნა, დამტვრეული პატრონს დაუბრუნეს. სახალხო კრება ამ საშინელი რეკეტის შედეგად იძულებული გახდა, კავსაძეზე გადასულიყო.

***– 26 მაისს ღონისძიებებს აპირებთ, 27-ში „ქართულ ოცნებას“ აქვს დიდი აქცია. აპირებთ მათ აქციაზე მისვლას?***

– მე მინდა განვმარტო, რომ 21 მაისს მნიშვნელოვანი ღონისძიება გვაქვს „შერატონ მეტეხი პალასში“, ეძღვნება შარშანდელ 21-26 მაისის აქციებს, ანალიზი, შეფასება იქნება, აქტივის გარდა ექსპერტები იქნებიან, ანალიზი იქნება წარსულისაც და იქნება საუბარი მომავალ გეგმებზეც. 26 მაისს იქნება სამების საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გარდაცვალებულების სულის მოსახსენიებლად და პოლიტპატიმრების ჯანმრთელობის პარაკლისი აღევლინება. 23 მაისს ბათუმშიც იქნება ღონისძიება. 27 მაისს რაც შეეხება, რამდენადაც ვიცით, „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის მეშვეობით, ეს არის „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის გახსნისადმი მიძღვნილი აქცია და იქ რომელიმე სხვა ძალა რომ მივიდეს, არა მგონია, ეთიკური იყოს, ვისაც სურვილი ექნება, შეიძლება მივიდეს, მაგალითად, სახალხო კრების, დემოკრატიული მოძრაობის თუ სხვა პარტიის წევრებს, უფლება აქვთ, მივესალმებით ამას.

***– ერთი წლის შემდეგ რომ გააანალიზოთ, 26 მაისის აქციას რა შეცდომები ჰქონდა?***

– აქცენტს რატომღაც შეცდომებზე აკეთებენ ხელისუფლების ტელევიზიები და გაზეთები, ასევე დამოუკიდებელი გაზეთების ნაწილიც, ეს მიმაჩნია დანაშაულად. ოპოზიციის ნაწილიც ასე მიიჩნევდა, როგორ შეიძლება 26 მაისი მარცხად და შეცდომად ჩათვალო, როდესაც პირიქით, ეს აღმოჩნდა გარდამტეხ დღედ იმ უზარმაზარი სტაგნაციის შემდეგ, რაც იყო საქართველოში 2009 წლის შემდეგ, 26-მა მაისმა შეძრა არა მარტო საქართველო, არამედ უცხოეთი, ეს იყო დღე, რომელმაც აჩვენა, რომ ქართველი ხალხი არ ეგუება ამ დამნაშავე რეჟიმს. ის ხალხი მზად იყო, შერკინებოდა ამ დამნაშავე რეჟიმს. უზარმაზარი მანქანა წამოიმართა ჩვენ წინააღმდეგ ამ დღის დისკრედიტაციისთვის, მთელი წელი მიდიოდა წყლის ნაყვა, უაზრო მოლაპარაკებები 2010-11 წლებში ხელისუფლებასთან ნაცმოძრაობასთან რვიანის მხრიდან. მერე ის ძალები, რომლებიც ნაცებთან წავიდნენ, შეირაცხნენ მოღალატეებად თავად მათი კოლეგების მხრიდან. ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა – ხელისუფლებასთან ერთ მაგიდასთან დაჯდომა და მოლაპარაკებები. ეს იყო ჩვენი საზოგადოების მოტყუება. ამ მოლაპარაკებით თითქოს გაუმჯობესდებოდა საარჩევნო გარემო, ხელისუფლება კი უკან დაიხევდა და კომპრომისზე წავიდოდა. ჩვენ მივიღეთ უარესი შედეგი. ისეთი კანონები მიიღო ხელისუფლებამ, რომ კიდევ უფრო გართულდა პარტიების მდგომარეობა. ამ ოპოზიციის მხრიდან იყო განუწყვეტელი დისკრედიტაცია და ლანძღვა სახალხო კრების და 26 მაისის, ეს იყო მცდელობა საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა, მაგრამ საზოგადოება ადეკვატურად კარგად ფლობს ინფორმაციას და იცის, რომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ ცხოვრებაში 2010 წლის 26 მაისს. სახალხო კრება არის მართლაც შეურიგებელი და უკომპრომისო ამ ხელისუფლების მიმართ.

***– საზოგადოება ყურადღებით ადევნებს თვალს როგორც „ქართული ოცნების“, ისე სახალხო კრების ქმედებებს. მართალია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა სახალხო კრება, მაგრამ აქტიურად ხართ ჩაბმული პოლიტიკაში. როგორია თქვენი გეგმები არჩევნების წინ?***

– მესმის, რომ არის დიდი ინტერესი. 21 მაისს ჩვენ ბევრ საინტერესო რამეს ვიტყვით მომავალ გეგმებზე. ჯერჯერობით ჩვენი პოზიციაა ხელის არშეშლა. საზოგადოების მთელი თანადგომა მიმართულია დღეს „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილისადმი, ჩვენ მივესალმეთ ბატონი ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას, ამ სიტუაციაში არ გვინდა ისე გამოჩნდეს, რომ ვინმეს ხელი შევუშალეთ. ჩვენი ძალისხმევა მიმართული იქნება მთელი ოპოზიციის გაერთიანებისკენ. მხოლოდ ერთიანი ოპოზიციური ფრონტით იქნება შესაძლებელი მივიდეთ დემოკრატიულ არჩევნებამდე.

# პაატა ზაქარეიშვილი: საზოგადოებაში შიში დაძლეულია“

ნონა ცაბაძე



**საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი დაიწყო. ექსპერტ-კონფლიქტოლოგს, პაატა ზაქარეიშვილს მიაჩნია, რომ სააკაშვილი ამერიკაში იმისთვის წავიდა, რომ ქართველ ამომრჩეველს იქიდან ელაპარაკოს, რაც წმინდა წყლის პიარნაბიჯია.**

**პაატა ზაქარეიშვილი:**

– სააკაშვილი ცდილობს „იმედის“, „პირველი არხისა“ და „რუსთავი 2-ის“ საშუალებით ელაპარაკოს ქართველ ამომრჩეველს, მათ, ვინც კიდევ შემორჩა და უყურებს ამ არხებს. ცდილობს, მათ აჩვენოს წარმატებული საქართველო. სააკაშვილს ამერიკაში აღარავინ უსმენს. მას უსმენენ მხოლოდ საქართველოში, მეტი არსად. ის ცდილობს შექმნას ილუზია წარმატებული სახელმწიფოსი, რომელსაც ვითომდა საერთაშორისო წარმატებები გააჩნია. ამ ვიზიტით არაფერი შეიცვლება, არც ცუდი მოხდება და არც კარგი. შედეგი იქნება ნული. თავზე ხელს გადაგვისვამენ, გვეტყვიან, კარგი ბიჭები ხართ, მაგრამ... ჯერ კიდევ საჭიროა ბევრი რაღაცები. ასევე მადლობას ეტყვიან, რომ ავღანეთში ჯარისკაცებს აგზავნის. თუმცა აუცილებლად იქნება, მაგრამ...

***– დასავლეთიდან მხარდაჭერა საგრძნობლად შემცირდაო...***

– ეს მხარდაჭერა 2007 წლის ნოემბრის შემდეგ შემცირდა და მას შემდეგ აღარ გაზრდილა. შემცირებული კი არა, დასულია ნოლზე. არსებობს ასეთი ამერიკული გამოთქმა – იატაკს ქვემოთ ვეღარ დაეცემი. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვგდივართ იატაკზე, 2007 წლის ნოემბრიდან. ამას მოჰყვა 2008 წლის აგვისტო. არანაირი გაუმჯობესება საქართველოს მიმართ არ ყოფილა. როგორც იყო ნულის ტოილ, ასეა დღესაც, ოდნავაც არ გაზრდილა მხარდაჭერა და ასე გაგრძელდება ოქტომბრამდე.

***– ოქტომბერს და არჩევნებს რაც შეეხება, სააკაშვილის გუნდი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს, რამდენად აქვთ ამის შანსი?***

– როგორ არიან დარწმუნებულები, როცა საკუთარ შიშებს ავლენენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. რამდენჯერ შეცვალეს და თან ვერც შეცვალეს კონსტიტუცია ივანიშვილის გამო. ერთ კაცს არგებენ კონსტიტუციას და ვერ მოარგეს ორ თვეზე მეტია. სასაცილოა ეს ყველაფერი. როგორ არიან დარწმუნებულები, როცა ასე პრიმიტიულად, არასახელმწიფოებრივად და ასე ზედაპირულად იქცევიან?! ოქტომბრიდან გამოჩნდა ივანიშვილი პოლიტიკაში და სააკაშვილს კრიჭა აქვს შეკრული და სიტყვა ივანიშვილს ვერ წარმოთქვამს. წარმოგიდგენიათ, რა ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო ამ ადამიანმა ისეთი, რომ ოპონენტის გვარს ვერ წარმოთქვამს. აშკარად ჩანს, რომ ძალიან შეშინებულები არიან. კონტროლის პალატის ქცევები ხომ ყოველგვარ საზღვარს სცილდება. კერძო პირის ბიზნესში როგორ იხარჯება ფული, ამას აკონტროლებენ. იგივე ისანი-სამგორის გამგებლის ქცევები, მუშტი-კრივზე გადასვლა, როცა გაჭირვებულ ხალხს დახმარება სჭირდებოდა. ყველაფერი ეს ავლენს იმას, რომ ხელისუფლებას ისტერიკა სჭირს. ეს არის ისტერიული და პანიკური ქცევები ხელისუფლებისა. წამყვანი როლი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა დღეს ივანიშვილის ხელშია. მიიღეს კანონი – ათი წელი უნდა ცხოვრობდე საქართველოშიო, გამოვიდა ივანიშვილი და თქვა, არა, ხალხო, მე ათი წელი კი არა, უფრო ნაკლები ვცხოვრობდიო და უცებ შეცვალეს კანონი.

***– და ხუთ წელზე დაიყვანეს...***

– ერთი ადამიანი მართავს სიტუაციას. სააკაშვილისთვის ცხვირში აქვს ხელი წავლებული ივანიშვილს და ატარებს აქეთ-იქით. ხარს რომ რგოლს გაუყრიან ხოლმე ცხვირში, აი, ასე გაუყარა ივანიშვილმა სააკაშვილს გრიგოლი და ატარებს როგორც უნდა, ისე. სასოწარკვეთილები არიან და თავისას უკიჟინებენ.

***– ყველანაირი საშუალება მივეცით ივანიშვილს, კი, ბატონო, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობაო, აცხადებენ უმრავლესობის წევრები...***

– მაშინ უნდა მიეცათ მოქალაქეობა, რათა ამ ადამიანს ჰქონოდა საშუალება, გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი, გამხდარიყო ღირსეული ფიგურა ღირსეული პარტიისა. ამას არ აკეთებენ. აძლევენ პირობას, რომ შეიძლება მხოლოდ კენჭი იყაროს პარლამენტში, მეტი არაფერი. ასე რომ, ეს არის ლაჩარი ხელისუფლების ლაჩრული ქცევა. ყველა კანონი მიმართულია იქითკენ, რომ ივანიშვილს ეკუთვნის მოქალაქეობა. როგორ, ვერა ქობალიას თუ მისცა მოქალაქეობა, ბენდუქიძეს თუ მისცა მოქალაქეობა, რატომ არ უნდა მიეცა ივანიშვილისათვის?! რით სჯობია ქობალია ივანიშვილს? შეიძლება სააკაშვილისთვის სჯობია, მაგრამ სახელმწიფოსთვის არ სჯობია.

***– როგორ ფიქრობთ, დაძლეულია შიში საზოგადოებაში?***

– რაღაც ნაწილში დაძლეულია. მე რეგიონებში დავდივარ ძალიან ხშირად და ამდენი ადამიანი რეგიონებში, რომლებიც მოდიან ქართულ ოცნებასთან შესახვედრად, მე არ მინახავს, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან მოსულიყვნენ. მოხდა პოლარიზაცია შიშის, ასე ვიტყოდი. მნიშვნელოვან ნაწილში დაიძლია, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილში კიდევ უფრო გამკაცრდა. დღეს რეგიონებში შიშის დანახვაც შეიძლება და ისიც, რომ ეს დაძლია ხალხმა. დღეს რეგიონებში ორივეა. როგორც წესი, უმცირესობები მართავსე მთავარ პროცესებს. თამამად დგამენ ნაბიჯებს, რევოლუციებს აწყობენ, ომში მიდიან. მე მგონი, ის უმცირესობები, რომლებიც დღეს შიშს ძლევენ რეგიონებში, საბოლოო ჯამში განმსაზღვრელი იქნება ოქტომბერში ოპოზიციის გამარჯვებისა.

***– შეიქმნა ფონდი „ქომაგი“, თუმცა კონტროლის პალატა აცხადებს, რომ უკანონო იქნება მისი საქმიანობა...***

– რის საფუძველზე აცხადებს, უცნაურია პირდაპირ. გამოჩნდა ბოლო მონაცემები, რომ ქომაგის საქმიანობა იქნება დამოუკიდებელი და ნეიტრალური. შიშს ფართო თვალები აქვსო. ჩვენი ხელისუფლება ყველა მხრიდან საფრთხეს ხედავს. არანაირად არ ჩანს, რომ ქომაგის დაფინანსება არღვევს რაღაც კანონებს.

***– რაც შეეხება ქართული ოცნების შიგნით არსებულ სიტუაციას, საუბარია, რომ შიგნით დაპირისპირებაა, პარტიები ვერ თანხმდებიან და ვერ ინაწილებენ სამომავლოდ თანამდებობებს. რა იცით თქვენ ამ ყველაფრის შესახებ?***

– მეტ-ნაკლები ინფორმაცია მაქვს და ვერ ვიტყოდი, რომ დაპირისპირებაა შიგნით. არსებობს გარკვეული კამათი და ეს ბუნებრივია. მე რესპუბლიკურ პარტიაში ვარ და რესპუბლიკურ პარტიაშია ხოლმე კამათი სხვადასხვა საკითხებზე. როცა ასეთი მრავალფეროვანი კოალიცია შეიქმნა, სხვადასხვა იდეოლოგიის, სხვადასხვა ისტორიის და მენტალობის პოლიტიკური ძალებისა, ბუნებრივია, იქ კამათი და აზრთა სხვადასხვაობა იქნება. ეს ბუნებრივი პროცესია ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმში. აზრთა სხვადასხვაობა მართლა არსებობს, მაგრამ არსებობს პოლიტიკური საბჭო, რომელიც ამ აზრთა სხვადასხვაობას აქცევს ერთ მონოლითურ პოზიციად. მე მომწონს ის პროცესი, რაც იქ ხდება. ძალიან არ უნდა გინდოდეს საქართველოს წარმატება, რომ ვერ ხედავდე ქართულ ოცნებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის უპირატესობას, იმასთან შედარებით, რა ჩამყაყებული, ჩაცემენტებული და ჩაბეტონებული სიტუაციაცაა ნაციონალურ მოძრაობაში. ბიძინა ივანიშვილმა შექმნა ისეთი კონტექსტი, რომ ყველა ადამიანს, ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველა ჯგუფს აქვს უფლება, თავისი პოზიცია გამოხატოს და დაიცვას. ეს მშვენიერი მაგალითია მომავალი დემოკრატიული საქართველოს სახისა.

***– ხო, მაგრამ იგეგმება კიდევ რომელიმე პარტიის გაერთიანება ქართულ ოცნებაში?***

– მე არ ვარ პოლიტიკური საბჭოს წევრი, გარედან ვადევნებ თვალს პროცესებს, თუმცა, ვიცი, რა ხდება. როგორც მე ვიცი, აღარ იგეგმება. კოალიცია უკვე შეიკრა. არსებობდა ღია კარი, ამ ღია კარმა იმუშავა ძალიან ეფექტურად, ძალიან ბევრი საინტერესო პოლიტიკური ძალა შეუერთდა კოალიციას და როგორც ვიცი, ღია კარის პოლიტიკა დასრულებულია. აღარ ჩანს იმის ნიშნები, რომ კიდევ ვინმე მიიღონ.

***– რატომ აღმოჩნდა სახალხო კრება განზე. მოვისმინე ნაწყენი ტონი, ქართულ ოცნებას 27 მაისის აქციაზე არ მივუწვევივართო...***

– სახალხო კრებასთან არ არის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა. მათ აქვთ უფლება კონსტიტუციით მინიჭებული, რომ თვითონ განახორციელონ გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯები. რატომ არ აღმოჩნდება 27 მაისს მათთან ერთად არ ვიცი, მაგრამ ზოგადად ცნობილია, რომ გარკვეული დისტანცირება არსებობს ქართულ ოცნებაში. ეს გასაგები უნდა იყოს, რადგან არსებობს იდეოლოგიური არათანხვედრა.

***– სააკაშვილს წირავს თავისი გუნდი, რომ თავად დარჩნენ ხელისუფლებაშიო, რამდენად აქვთ შანსი ხელისუფლებაში დარჩენის?***

– ისინი ერთად თამაშობენ. მე თავიდანვე ვამბობდი და თქვენი გაზეთის საშუალებით ვთქვი პირველად, რომ, როგორც ჩანს, სააკაშვილი ითამაშებს ბოლომდე პუტინს, რომ უნდა პრემიერ-მინისტრობა. ვიდრე ივანიშვილი გამოჩნდებოდა, ამ ჯგუფის გეგმა იყო ასეთი, რომ წარმატებით გადალახავდნენ საპარლამენტო არჩევნებს და პრემიერ-მინისტრად აირჩევდნენ მერაბიშვილს, პრეზიდენტად კი – ბაქრაძეს. თუმცა ივანიშვილმა ყველა თამაშის წესი აურია სააკაშვილს. როგორც გამყრელიძემ თქვა სიმწრით – ივანიშვილის გამოჩენამ აარევა ქართული პოლიტიკური მაგიდაო. გამყრელიძეს ეს გამწარებულ კონტექსტში წამოსცდა, თუმცა სიმართლეა. ივანიშვილმა გეგმები ყველას აურია. დღეს უკვე სააკაშვილმა, რომელმაც კონსტიტუცია და კანონი მოირგო თავისი გუნდის მომავლისთვის, პრაქტიკულად ეს კანონი გადააბარა ივანიშვილს. ძლიერ ძალას შეუძლია ეს კანონი გამოიყენოს საქართველოს სასარგებლოდ. დანით შეიძლება პურიც დაჭრა და კაციც მოკლა. მოკლედ, ვითარება შეიცვალა და ვერც სააკაშვილი ვერ გახდება ის, რისი სურვილიც ჰქონდა. ივანიშვილმა ყველა საფუძველი გამოაცალა მათ გეგმებს და სურვილებს და არსებითად სულ სხვა ვითარება შექმნა ქვეყანაში. დღეს უკვე ქართველი ამომრჩევლის აქტიურობაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

***– რომ არ დაიხიონ უკან და ტოტალურად გააყალბონ არჩევნები?***

– თუ მოსახლეობის, ცოცხალი ამომრჩევლის 80% მივა არჩევნებზე და ხმას არ მისცემს სააკაშვილს, ტოტალურად ვერ გააყალბებენ. იმის თქმა, რომ არ გააყალბებენ, იქნება სასაცილო. გაყალბების რესურსი, რა თქმა უნდა, გააჩნიათ, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტური და ეს არ არის ტოტალური. მაქსიმუმი, რისი გაყალბებაც შეუძლიათ, ეს არის 20%. ეს ბევრია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ივანიშვილს აქვს საკმაო რესურსი, რომ გაიმარჯვოს, სერიოზულ წარმატებას მაინც მიაღწიოს, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება პარლამენტში. ბოლო სიტყვა ჩვენს საზოგადოებაზე იქნება. დავიჯეროთ, რომ საქართველო არ იმართება არც მოსკოვიდან და არც ვაშინგტონიდან. ქართველი ამომრჩევლის ხელშია საქართველოს მომავალი.

# მერაბ სეფაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი



ქართული ესტრადის ვარსკვლავს – მერაბ სეფაშვილს 20 მაისს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. ვარსკვლავის გახსნამდე კი ორსაათიანი კონცერტი ჩატარდება, სადაც მომღერალი ძველ და ახალ ჰიტებს შეასრულებს. კონცერტის რეჟისორი ნინო ლაპიაშვილია, მხატვარი კი – ვანო ჭელიძე. ღონისძიება თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გაიმართება. მერაბ სეფაშვილი ამ კონცერტით ორმაგ იუბილეს აღნიშნავს – მას 50 წელი შეუსრულდა და უკვე 35 წელია სცენაზე დგას. მერაბ სეფაშვილმა კარიერა სახელმწიფო ორკესტრ „რეროში“ დაიწყო და შემდეგ რამდენიმე ანსამბლშიც იმღერა. უკვე წლებია მომღერალი სოლოკარიერას ეწევა.

მომღერალს ბენდთან ერთად უწყვეტი რეპეტიციები აქვს. მის მიერ 35 წლის განმავლობაში შესრულებული ჰიტები ახლებური ინტერპრეტაციით შესრულდება. მუსიკალურ მხარეს დავით მაზანაშვილი ხელმძღვანელობს. მერაბ სეფაშვილი ბევრ სტუმარს ელოდება, ისინი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები არიან და თბილისში სწორედ იუბილარი მომღერლის გამო ჩამოდიან.

10-წლიანი პაუზის შემდეგ მერაბ სეფაშვილი მსმენელს კვლავ დაუვიწყარ სოლოკონცერტს ჰპირდება. არანაირი დუეტები, მხოლოდ სოლონომრები – ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მომღერალმა და დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილ მსმენელს ბევრ სიურპრიზს ჰპირდება.

– აჟღერდება ძველი სიმღერები ახალი ინტერპრეტაციით, სულ სხვა ჟღერადობა ექნებათ. რა თქმა უნდა, შესრულდება ახალი სიმღერებიც, ბევრი სიმღერა დამიწერეს კომპოზიტორებმა, რისთვისაც მათ მადლობას ვეუბნები, – ამბობს მომღერალი.

მერაბ სეფაშვილთან ერთად სცენაზე იდგება ანსამბლ „თეატრონის“ სამი წევრი, მათ შორის მომღერლის განუყრელი მეგობარი, კომპოზიტორი გია მაჭარაშვილი, ბენდში ასევე იქნებიან ახალგაზრდა მუსიკოსები, სცენაზე იდგებიან ბექვოკალისტები, რომლებიც ორსაათიან პროგრამაში მერაბ სეფაშვილთან ერთად 20-მდე სიმღერას შეასრულებენ.

– სცენაზე ვიმღერებ მხოლოდ მე, მეგობრები დარბაზში ისხდებიან, თუმცა გპირდებით, რომ ბევრი ექსპრომტი იქნება და არ არის გამორიცხული, ჩემი მეგობრებიც დავიხმარო, – აცხადებს მომღერალი.

საიუბილეო კონცერტის დასრულებისას, ფილარმონის ივენთ ჰოლში გაიმართება ე.წ. აფტერ ფარტი, სადაც ქართული შოუბიზნესის თითქმის ყველა წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას და დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენებენ მერაბის ძველ და საყვარელ სიმღერებს, რომლებსაც დღესაც ყველგან მღერიან.

– შემოქმედის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი, კიდევ ერთი თბილი და ლამაზი საღამო იქნება ქართველი მსმენელისთვის. მით უმეტეს, მერაბის საკონცერტო რეპერტუარში შევა ყველასათვის კარგად ნაცნობი საყვარელი ჰიტები და ახალი სიმღერები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონცერტი ჩატარდება ბენდის თანხლებით და მერაბს დიდი ხანია არ ჩაუტარებია სოლოკონცერტი, ადვილი წარმოსადგენია, რა ინტერესით შეხვდება მას ერთგული და მონატრებული მსმენელი, – ამბობს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ნეკა სებისკვერაძე.

მერაბ სეფაშვილი ახალ ალბომზეც მუშაობს, თუმცა სოლოკონცერტის გამო, ჩაწერები შეჩერებულია. 20 მაისს დაგეგმილ კონცერტს „სანო სტუდია“ ჩაიწერს და მომავალში იგი აუდიო და ვიდეო პროდუქციის სახით გაიყიდება.

საიუბილეო პროექტის ხელმძღვანელი და პროდიუსერია გია გოგორიშვილი. მისი თქმით, კონცერტზე მისული მაყურებელი უდიდეს სიამოვნებას მიიღებს. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ ეს კონცერტი ბათუმში იქნეს ჩატანილი და საქართველოს ფარგლებსაც გასცდეს. სამომავლოდ მერაბ სეფაშვილი ამ კონცერტით უცხოეთში ჩასვლასაც გეგმავს.

როგორც იუბილარი მომღერალი აცხადებს, თავის ვარსკვლავს მშობლებს და მათდამი უსაზღვრო სიყვარულს უძღვნის, რადგან მათ ქართული კულტურისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთეს.

# „მუსიკის ენა“ კონსერვატორიაში

ეკა ირემაშვილი

18 მაისს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გერმანელი და ქართველი ახალგაზრდა მუსიკოსების ერთობლივი კონცერტი ჩატარდება, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა „მუსიკის ენა“ უწოდეს. საღამოს ორგანიზატორები გერმანიის საელჩო საქართველოში და კამერტონი არიან. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ბერლინის კარლ ფილიპ ემანუელ ბახის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის ახალგაზრდა მუსიკოსები და „კამერტონის“ ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები. ერთობლივი კონცერტის პროგრამაშია ქართველი და ევროპელი კომპოზიტორების ნამუშევრები. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: გერმანიიდან – ანა გრეჩმანი (ვიოლინო), სიმონ ლინდნერი (საქსოფონი), მაგდალენა ლესინგი (კლარინეტი), მილენა ჰიომანი (ფლეიტა) და ციფენგ ჰუ (ფორტეპიანო), საქართველოდან – დავით ჯინჯიხაძე (ფორტეპიანო), ანი გიგაური (ფორტეპიანო), ინალ ჯიოევი (ჰობოი), სანდრო სიდამონიე (ჩელო), სენდი ვართანოვა (ვიოლინო), გიორგი ოიკაშვილი (კლარინეტი). გერმანელ მუსიკოსებს ხელმძღვანელობს ქალბატონი კარინ ლეო (მუსიკალური ხელმძღვანელი), ხოლო ქართველ მუსიკოსებს – ქალბატონი ირმა რუხაე.

პროექტის კოორდინატორია ქალბატონი ლიუდმილა ფონ ბერგი (კამერტონი). 2008 წლიდან იგი აქტიურად უწყობს ხელს თანამშრომლობას კულტურის დარგში და ქართველი, სომეხი და გერმანელი ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებს კლასიკური მუსიკის დარგში. ახალგაზრდულმა საერთაშორისო შეხვედრებმა, საკონცერტო გამოსვლებმა, საერთაშორისო მასტერკლასებში მონაწილეობამ, მუსიკალურმა ვორქშოპებმა და ახალგაზრდულმა ორკესტრებმა პროექტი ბერლინის საზღვრებს მიღმაც ძალიან პოპულარული გახადეს.

– ეს კონცერტი ახალგაზრდა ქართველი და გერმანელი მუსიკოსების ნიჭიერების კიდევ ერთი გამოვლინებაა. ჩვენ გვსურს მოხდეს გაცვლითი კულტურული ღონისძიებები, ამიტომ 2008 წლიდან მსგავს კონცერტებს ხშირად ვაწყობთ. თავდაპირველად სომხეთში ვეძებდით ნიჭიერ მუსიკოსებს, გასული წლიდან კი უკვე საქართველოში ვართ. ჩვენ გვინდა ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსებს გავუკვალოთ გზა მსოფლიო წარმატებისკენ, რათა მათ აიმაღლონ პროფესიონალიზმი. ნებისმიერ კონცერტზე მათი გამოსვლა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, მით უმეტეს მაშინ, თუ ისინი ესწრებიან მასტერკლასებს ან უკრავენ ახალგაზრდულ ორკესტრში. ჩვენი სურვილია, ეს პროექტი კიდევ უფრო გაფართოვდეს და მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი გააერთიანოს, – ამბობს პროექტის კოორდინატორი ქალბატონი ლიუდმილა ფონ ბერგი.

18 მაისს კონსერვატორიაში დაგეგმილ კონცერტზე დასწრება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლება. უფასო ბილეთების მიღება კონსერვატორიის სალაროში იქნება შესაძლებელი.

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტი ჩატარდა. სოლისტი სახელგანთქმული ახალგაზრდა ქართველი პიანისტი ნინო გვეტაძე გახლდათ. მასთან ერთად დაუკრა თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სიმფონიეტა“, რომელსაც გოგი ჭიჭინაძე დირიჟორობდა. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები. სიმფონიური მუსიკის შემდეგ კი კონსერვატორიაში ფოლკლორული მუსიკის საღამო ჩატარდა, რომელიც ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ერისიონი“ წარმოადგინა. ამჯერად კონსერვატორიის დიდი დარბაზი უკვე ახალგაზრდა მუსიკოსებს ეთმობათ, რომლებიც მუსიკის ენას შეკრებილ მსმენელს კიდევ ერთხელ აზიარებენ.

# მუზეუმების საერთაშორისო დღეს საქართველოც აღნიშნავს

ეკა ირემაშვილი

მუზეუმების საერთაშორისო დღეს ჩვენი ქვეყანაც აღნიშნავს. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ორგანიზებული სპეციალური კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება.

კვირეულის ფარგლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში წარმოდგენილია გამოფენა „გერმანელები და ქართველები – შუა საუკუნეებიდან დღემდე“. გამოფენა გახსნეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და გერმანიის ელჩმა ბატონმა ორთვინ ჰენიგმა. ექსპოზიცია გერმანული კვირეულის ფარგლებში მოეწყო. ნამუშევრების გახსნას პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროს მაღალი რანგის სტუმრებიც ესწრებოდნენ.

– 18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა. უკვე 30 წელზე მეტია მსოფლიო ამ თარიღს აღნიშნავს. ეროვნული მუზეუმი უერთდება ამ დღესასწაულს და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ეროვნული მუზეუმის ქართველ თუ უცხოელ მეგობრებსა და პარტნიორებს მუზეუმის დღეს ულოცავს ეროვნული მუზეუმის ყველა თანამშრომლის სახელით და 14-დან 19 მაისის ჩათვლით საინტერესო კვირეულს სთავაზობს, – აცხადებს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი.

სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის გერმანული ფონდი და გერმანიის საელჩო თბილისში.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადება

2012 წლის 12 ივნისს, დღის 12.00 საათზე ტარდება ს/ს „თბილისის ცენტრალური ა/ვაგზლის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. წლიური ბალანსის განხილვა;
2. ს/ს-ის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
3. სხვადასხვა.

*სამეთვალყურეო საბჭო*



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




ᲡᲬ,ᲬᲧᲠᲯᲰᲢᲠᲓᲑᲰᲑᲜᲢ,Ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფასო განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი „მედიგარდი“ გთავაზობთ კუჭისა და ნაწლავების ექოსკოპიას, რაც გასტროსკოპიისა და რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატივაა. ამავე კლინიკაში გთავაზობთ მკურნალობას სამკურნალო მცენარეებით, ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და სხვა. მისამართი: ფალიაშვილის ქ.№17. ტელ: 225-20-50; მობ: 599-57-25-08.

● ნანა ქიბროწაშვილი, შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ფოტოსურათით მოგიხსნით: პათოლოგიურ სიმთვრალეს, ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, ძილში მოუსვენრობას, კოშმარულ სიზმრებს, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, დაძაბულობას, ოჯახურ კონფლიქტებს. მის: წერეთლის 57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი 7. მიღება 12-დან 15 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ჩემპიონი ბოლო ტურში გაირკვევა, ტორპედომ ევროსაგზური დაიბევა

### მეტალურგი _ დინამო 2:1

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი**
**0:1 რობერტინიო (61), 1:1 კვარაცხელია (73), 2:1 ტატანაშვილი (76)**

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, გ.კვარაცხელია, გ.სეთურიძე, მახვილაძე, ლ.ჯაფარიძე, რაზმაძე, დობროვოლსკი (მიქაბერიძე 65), ქავთარაძე, გეწაძე, ი.მაისურაძე, სიხარულიძე (ტატანაშვილი 46)

**დინამო:** სეფიაშვილი, ოდიკაძე, ხმალაძე, ხიზანეიშვილი, კვეკვესკირი, გ.რეხვიაშვილი, ჯილაური, კოშკაძე (ალვარო 46), რობერტინიო (კოტო 84), ჩისკო (მერებაშვილი 59), გოგუა

ფოლადზე გამართულ მატჩში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ერთ გუნდს მოგება სჭირდებოდა, მეორეს – წაგება. „მეტალურგი“ საჩემპიონოდ იბრძვის და მისთვის 3 ქულა სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, ხოლო „დინამოს“ ევროსაგზურის მოპოვების ერთადერთი შანსი აქვთ და ეს შანსი სწორედ „მეტალურგის“ ჩემპიონობაა. ამიტომ შედეგი, რომელიც დაფიქსირდა, ორივე გუნდს აწყობდა. თუმცა, ბოლომდე ჯერ გარკვეულია არაფერია – რუსთაველებს ახლა ფოთში სჭირდებათ გამარჯვება, ხოლო დინამოელებს საკუთარი მოგების გარდა „ტორპედოს“ იმედიც აქვთ, რომლებმაც უკვე დაიბევეს მესამე ადგილი და ბოლო ტურში „დილას“ უმასპინძლებენ, რომელთან წაგებაც პირველად ისტორიაში „დინამოს“ ევროსაგზურის გარეშე დატოვებს.

მატჩი „მეტალურგის“ უპირატესობით დაიწყო მეტოქის კარის მიმართულებით რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს. მე-5 წუთზე, რევაზ გეწაძე მარჯვენა ფლანგიდან ცენტრისკენ შეიწია და მის მიერ დარტყმული ბურთი კოტე სეფიაშვილი კარის ბადეს გარედან მოხვდა. მე-9 წუთზე, მარცხნიდან, გიორგი ქავთარაძე შევიდა მეტოქის საჯარიმოში და გეწაძე მონახა, რომელსაც ამჯერად სეფიაშვილმა არ გაატანინა. მე-19 წუთზე, ქავთარაძის საშუალო მანძილიდან დარტყმული არაზუსტი აღმოჩნდა. 22-ე წუთზე, ირაკლი მაისურაძემ ბურთი მოედნის ცენტრიდან წამოიღო, ერთ მეტოქეს გასცდა და კარშიც დაარტყა – სეფიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამ კუთხურს ირაკლი სიხარულიძის ოდნავ არაზუსტი თავური მოჰყვა.

„დინამო“ მხოლოდ ტაიმის ბოლოს გამოცოცხლდა და ანგარიშის გახსნაც შეეძლო. გოგიტა გოგუას დარტყმას რიკოშეტი მოჰყვა და ბედიაშვილმა მუშტით ბურთი ცუდად მოიგერია, რამაც საჯარიმოში არეულობა გამოიწვია, ბოლოს ალექსანდრე კოშკაძემ დაარტყა, მაგრამ გოლის გაშვებისგან თანაგუნდელები კარის ხაზზე მდგომმა ლაშა ჯაფარიძემ იხსნა.

მე-2 ტაიმში თამაში „დინამომ“ უფრო აქტიურად განაახლა, თუმცა ერთადერთი რაც მეტოქეს გამოჰყვა, სახიფათო ჯარიმა იყო, რომელიც უხეიროდ შესრულდა.

57-ე წუთზე, ქავთარაძეს, კარგი პასით, დიმიტრი ტატანაშვილი გაჰყავდა მეკარესთან პირისპირ, თუმცა, სეფიაშვილმა რუსთაველთა ფორვარდს დაასწრო.

61-ე წუთზე კი, დინამოელმა სწრაფი კონტრშეტევა ლამაზ სტილში გაითამაშეს – დავით ოდიკაძემ ბურთი საკუთარ ნახევარზე ჩაუჭრა მეტოქეს, სრაფად გადააწოდა გოგიტა გოგუას, რომელმაც მერებაშვილი მოძებნა, მანაც უკვე საჯარიმოში შეჭრილ ოდიკაძეს არ დაუგვიანა პასი, ხოლო ოდოს გამჭოლ გადაცემას საჯარიმოში რობერტინიო დაუხვდა და ანგარიში გახსნა – 0:1.

წაგება რუსთაველთა გეგმებში არანაირად არ შედიოდა და ტემპს მოუმატეს. 67-ე წუთზე, გეწაძემ კუთხური მოაწოდა, მაგრამ ქავთარაძის თავურმა მიზანს ვერ მიაღწია.

„მეტალურგმა“ თამაშის ბედი მაინც შემოატრიალა, რაც კვარაცხელიას და ტატანაშვილის დამსახურებაა, რომლებიც ამ სეზონის წინ სწორედ „დინამოში“ ირჯებოდნენ, მაგრამ გუნდის მესვეურები ვერ დააკმაყოფილეს და გაუშვეს.

73-ე წუთზე, გეწაძემ მარცხნიდან საჯარიმო მოაწოდა და კვარაცხელიამ თავურით ანგარიში გაათანაბრა.

ამ ეპიზოდიდან ნახევარ წუთში „დინამომ“ გოლი კი გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა მერებაშვილზე თამაშგარე დააფიქსირა. არადა, ალვაროს, რომელმაც ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა და ცარიელ კართან მარტო დარჩა, პასის ნაცვლად, თავად რომ დაერტყა, „დინამოს“ დააწინაურებდა.

76-ე წუთზე, „დინამოს“ დაცვა, როგორც პირველი გოლისას, კვლავ „ჩავარდა“ – ქავთარაძემ მარჯვენა ფლანგიდან პასი, მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ტატანაშვილს გაუკეთა, რომელმაც ასევე თავური დარტყმით, გამარჯვების გოლი გაიტანა – 2:1.

#### მატჩის შემდეგ:

**ნესტორ მუმლაძე, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– საინტერესო და კარგი თამაში აღმოჩნდა. როდესაც ვერ გაიტან, გაგიტანენ. ჩვენს მიერ გატანილი მე-2 გოლის დროს, რამდენად იყო თამაშგარე, ვერ გეტყვით, ისევე როგორც – რუსთაველებმა მეორე გოლი რომ შეაგდეს, გადასული იყო თუ არა ბურთი ხაზს იქით. ბიჭების უკმაყოფილო არ ვარ, რადგან იბრძოლეს.

**კობა ჟორჟიკაშვილი, მეტალურგის მთავარი მწვრთნელი:**

– „დინამოს“ კარგი დრო არ უდგას, მაგრამ ეს გუნდი ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. პირველ ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას ვფლობდით, თუმცა, მომენტები ვერ გამოვიყენეთ. მადლობა ფეხბურთელებს, რომ გოლის გაშვების შემდეგ, საკუთარ თავში ძალა იპოვეს და თამაში შემოატრიალეს. ჩვენ ფეხბურთელებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ჩემპიონობას არავინ მიართმევს, ამიტომ საკუთარი თავის იმედზე ვართ. მთავარია, ყოველმხრივ სამართლიანი თამაში იყოს. ამაში ვგულისხმობ, რომ გვყავს კვალიფიციური მსაჯები, რომლებიც ასეთ მატჩებზე უნდა დანიშნონ. ამ დონის მატჩებისთვის უფრო მომზადებული მსაჯი უნდა დაინიშნოს, რათა თამაში არ გააფუჭოს.

### დილა _ ზესტაფონი 1:2

**თბილისი. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი**
**0:1 დვალი (73), 1:1 გურული (543), 1:2 აფციაური (90)**

12-ე წუთზე დვალმა ვერ გამოიყენა პენალტი (აცილა)

**დილა:** შეყრილაძე, სალუქვაძე, ინწკირველი, ალადაშვილი, თოთაძე, ბეჭვაია (მეგრელიშვილი 66), კანდელაკი (ჯიქია 74), ს.გურული, ახალკაცი, კახელიშვილი, ბარაბაძე (ვაწაძე 62)

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ღონღაძე, საჯაია, კობახიძე, ელიავა, გორგიაშვილი (გუგუჩია 79), მენთეშაშვილი, ბაბუნაშვილი (აფციაური 62), შ.გრიგალაშვილი, მუჯირი (ოვონიკოკო 60), დვალი



იმერლებმა გამარჯვების მომტანი გოლის გატანა მატჩის მიწურულს და საჩემპიონო შანსები ჯერ კიდევ შეინარჩუნეს. არადა, „ზესტაფონს“ თავისუფლად შეეძლოთ თამაშის ბედი მატჩის დასაწყისშივე გადაეწყვიტა.

მე-7 წუთზე, ზაალ ელიავას მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ალექსანდრე ინწკირველს ხელზე მოხვდა, პენალტი კი, ჯაბა დვალმა გამოიყენა – 1:0.

ჩემპიონატის ბომბარდირი თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ხუთიოდ წუთში ისევ მივიდა, მას შემდეგ, რაც იმავ ინწკირველმა საჯარიმოში წააქცია. დვალის მეორე ცდა წარუმატებელი გამოდგა – ბურთი კარს ასცდა.

იმერელთა მორიგი შეტევაც რეალური საგოლე მომენტით დასრულდა. ბექა შეყრილაძესთან პირისპირ გასულმა თორნიკე გორგიაშვილმა ბოლო წამს ბურთის დამორჩილება ვერ შეძლო და ანგარიშის გაზრდის შანსიც ხელიდან გაუშვა. ტაიმის ბოლოს, გორგიაშვილი და შეყრილაძე პირისპირ ერთხელაც აღმოჩნდნენ, მაგრამ ამ დუელშიც მეკარემ იმარჯვა.

შესვენებამდე ყველაზე რეალური შანსი შოთა გრიგალაშვილს მიეცა, მაგრამ კარის ხაზიდან ორიოდ მეტრიდან დაშორებულმა როგორ ააცილა კარს, ძნელი წარმოსადგენია.

ტაიმის ბოლოს, დავით მუჯირმა თავისი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ჩვეულ სტილში დააქუხა და შეყრილაძის კარის ხარიხა შეაზანზარა.

უსაქმოდ არც გორელები ყოფილან – იმერელთა მომენტებს შორის ორი შანსი მათაც მიეცათ, აქედან ერთი – რეალური. ჯერ იყო და საჯარიმოს კუთხიდან სანდრო გურულის მიერ კარში ჩახვეული ჯარიმა როინ კვასხვაძემ კუთხურზე გადააგდო, იქიდან ჩამოწოდებულს კი, რევაზ ბარაბაძის უძლიერესი თავური მოჰყვა და ბურთი კარის ხაზიდან ზაალ ელიავამ გამოიტანა.

მე-2 ტაიმიც ზესტაფონელთა შეტევებით დაიწყო და იმერლებმა მორიგი ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენეს. დვალის მიერ ახლოდან უძლიერესად დარტყმულ ბურთს წინ შეყრილაძე აღუდგა, რომლის ხელიდან შემდეგ გორელებს ძელიც წაეხმარათ.

54-ე წუთზე კი, არბიტრმა თორნიკე გვანცელაძემ მე-3 პენალტი დანიშნა, ამჯერად „ზესტაფონის“ კარში. საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილი გურული მამუკა კობახიძემ წესების დარღვევით შეაჩერა და თერთმეტმეტრიანი თავად დაზარალებულმა გამოიყენა – 1:1.

სტუმრებს ანგარიშის კვლავ სათავისოდ შეტრიალება სწრაფადვე შეეძლოთ, მაგრამ გორგიაშვილის უძლიერეს შორეულ დარტყმას კვლავ შეყრილაძე გადაეღობა, მოგერიებულ ბურთს კი, ფეხი ხეირიანად შოთა ბაბუნაშვილმა ვერ დაუხვედრა.

„ზესტაფონს“ მოგება კი უნდოდა, მაგრამ ბურთზე კონტროლი გორელებმა დააწესეს და გასული სეზონის გამარჯვებულს ტიტულის შენარჩუნების შანსი თითქმის მოუსპეს. ამ მონაკვეთში გორელებმა რამდენიმე მომენტი კი შექმნეს, მაგრამ რეალურს ვერცერთს ვერ დავარქმევთ.

„ზესტაფონი“ კი, როგორც ჩანს, ბოლო შტურმისთვის ემზადებოდა. ჭიაბრიშვილის შეგირდები მსაჯის მიერ დამატებულ დროშიღა გამოცოცხლდნენ. ჯერ იყო და შეცლაზე შესულ ლუკა გუგუჩიას აჯობა შეყრილაძემ, შემდეგ კი საგოლე კომბინაციაც ვიხილეთ. ისიც შესვლაზე შესული მოთამაშეების, აბაიომი ოვონიკოკოსა და აფციაურის შესრულებით. ამ უკანასკნელმა საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაჰკრა და ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი კარში შევარდა – 1:2.

#### მატჩის შემდეგ:

**თეიმურაზ შალამბერიძე, დილას“ მთავარი მწვრთნელი:**

– ბიჭების შემართებით და საბრძოლო ჟინით ძალიან კმაყოფილი ვარ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი შედეგზე. „ზესტაფონი“ ძალიან კარგი გუნდია, დღეს უპირატესობა მას ჰქონდა და დამსახურებულადაც მოიგო.

**გიორგი ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი:**

– სიცხეში მოგვიწია თამაშმა და ბოლოს ფეხბურთელებს დაღლილობა დაეტყოთ. ხარისხი ნამდვილად ვერაა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საბედნიეროდ, სასურველი შედეგის მიღწევა მაინც მოვახერხეთ.

### ბაია _ ტორპედო 0:2

**ზუგდიდი. ბაიას საწვრთნელი ბაზა**
**0:1 გოცირიძე (66), 0:2 საბანაძე (90)**

**ბაია:** მაქაცარია, პაჭკორია, ქვარცხავა (გუჯეჯიანი 84), სიხარულია (შონია 49), გაბედავა, ფარჯიკია, აფაქიძე, ენძელაძე, კუკავა (შ. ლომია 62), აქუბარდია, აკობია

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, იოსელიანი, გურული, გამეზარდაშვილი, კვახაძე, დოლიძე (თარხნიშვილი 72), დილმელაშვილი, გ.დათუნაიშვილი, ვ.ბოლქვაძე (ფირცხალავა 72), გოცირიძე (კუხიანიძე 84), საბანაძე

7-წლიანი პაუზის შემდეგ „ტორპედომ“ ევროსაგზურის მოპოვება შეძლო. სხვა მატჩებში ისეთი ანგარიშები დაფიქსირდა, ქუთაისელებს ამ მატჩში წაგებაც აწყობდათ, მაგრამ გია გეგუჩაძის შეგირდებმა მოგებაზე ითამაშეს და სასურველი შედეგიც მიიღეს.

66-ე წუთზე დოლიძემ მაღალი ტრაექტორიის ბურთი მოიგო და თავით საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფ გოცირიძეს დაუგდო, რომელმაც ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა – 0:1.

ბოლო წუთზე კი კუხიანიძე რამდენიმე მცველს დაუსხლტა და საჯარიმოში შეჭრილმა დაარტყა, მაქაცარიამ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე საბანაძემ იმარჯვა და მატჩს წერტილი დაუსვა.

### მერანი _ კოლხეთი 0:1

**მარტვილი. „ცენტრალური სტადიონი**
**0:1 პავლიაშვილი (65)**

**მერანი:** შეროზია, კაკუშაძე (მელიავა 59), ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, ვართაგავა, ფონიავა, მანწკავა (ტორაძე 69), ამბროლაძე, ე.გრიგალაშვილი, ტორონჯაძე (ტაპე 59)

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, ფოფხაძე, ხატიაშვილი, ბოიომო, ქორჩილავა (კაკულია 67), წაზრია, ცხადაია, კილასონია, გულუა (გაბუნია 59), პავლიაშვილი (წიქარიშვილი 82), ციცხვაია

მატჩის ერთადერთი გოლი 65-ე წუთზე გავიდა – კოლხებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და ციცხვაიამ ზუსტი პასით პავლიაშვილი ხელსაყრელ სიტუაციაში დატოვა, რომელმაც თანაგუნდელს გარჯა არ დაუკარგა.

#### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მეტალურგი | 27 | 16 | 4 | 7 | 37:28 | 52 |
| 2.ზესტაფონი | 27 | 15 | 7 | 5 | 49:28 | 52 |
| 3.ტორპედო | 27 | 13 | 6 | 8 | 30:24 | 45 |
| 4.დილა | 27 | 10 | 7 | 10 | 36:29 | 37 |
| 5.დინამო | 27 | 9 | 10 | 8 | 41:34 | 37 |
| 6.კოლხეთი | 27 | 8 | 8 | 11 | 25:37 | 32 |
| 7.ბაია | 27 | 5 | 8 | 14 | 24:43 | 23 |
| 8.მერანი | 27 | 6 | 3 | 18 | 31:53 | 21 |

**ბომბარდირები:** ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 20 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 13; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 12; მათე ვაწაძე (დილა), რევაზ გოცირიძე (ტორპედო) – 10-10.

## ეროვნულმა ნაკრებმა შეკრება დაიწყო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ეროვნულმა ნაკრებმა ავსტრიაში საწვრთნელი შეკრება დაიწყო. გუნდი დაბა ფლახაუში არასრული შემადგენლობით იმყოფება. პირველ 45-წუთიან ვარჯიშზე, მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ 15 ფეხბურთელი იყო: გიორგი ლორია, უჩა ლობჟანიძე, აკაკი ხუბუტია, ზურაბ ხიზანიშვილი, მურთაზ დაუშვილი, დავით კვირკველია, თორნიკე ოქრიაშვილი, ალექსანდრე კობახიძე, დავით თარგამაძე, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, ნიკა ძალამიძე, ჯაბა ლიპარტია, ლადო დვალიშვილი და ნიკა გელაშვილი.

გუშინ ეროვნულ ნაკრებს ავსტრიაში კიდევ ხუთი ფეხბურთელი შეუერთდა – ნუკრი რევიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, სოლომონ კვერკველია, ოთარ მარცვალაძე და გიორგი ფოფხაძე.

გურამ კაშია და ლევან მჭედლიძე კი, გუნდის საწვრთნელ პროცესში, სავარაუდოდ, 21 მაისიდან ჩაებმებიან. თემურ ქეცბაიას გუნდი 22 მაისის ჩათვლით ორჯერად ვარჯიშებს ფლახაუში გამართავს. მატჩამდე ერთი დღით ადრე კი, ზალცბურგის „რედბულ არენაზე“ ივარჯიშებს. ქართველი ფეხბურთელები 24 მაისს, საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას თურქეთის წინააღმდეგ ზალცბურგში ჩაატარებენ. მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

ნაკრებმა პირველი ვარჯიში წვიმისა და თოვლის ფონზე ჩაატარა. ევროპაში პოპულარულ ზამთრის კურორტ ფლახაუში დღის მანძილზე ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა მხოლოდ 5 გრადუსი იყო.

მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას გადაწყვეტილებით, გუნდს კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემატება. ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარე ომარ მიგინეიშვილი ეროვნულ ნაკრებს რამდენიმე დღეში შეუერთდება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ელჩე ........ 3:1
ალკოიანო-მურსია ........ 1:3
დეპორტივო-ლას პალმასი ........ 3:1
უელვა-კორდობა ........ 0:1
საბადელი-ალმერია ........ 2:1
ხიმნასტიკი-ხირონა ........ 1:1
ერკულესი-ნუმანსია ........ 1:3
ვილიარეალი ბ-უესკა ........ 4:2
კარტახენა-ხერესი ........ 0:0
ბარსელონა ბ-ვალიადოლიდი ..... 1:2

**შვეიცარია. თასი**

**ფინალი**

ლუცერნი-ბაზელი ........ 1:1(2:4პ)

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ..... 0:1
აეკი-პაოკი ........ 2:0

**თურქეთი. თასი**

**ფინალი**

ფენერბახჩე-ბურსა ........ 4:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ჰელსინბორგი ........ 1:1
ატვიდაბერგი-სირიანსკა ........ 1:0
ჰეკენი-ნორჩიოპინგი ........ 6:0
იორებრო-აიკი ........ 2:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვიკინგი-ლილესტრიომი ........ 1:2
მიოლდე-ფრედრიკსტადი ........ 2:0
რუსენბორგი-ჰონეფოსი ........ 0:1
სტრომგოდსეტი-ტრომსო ........ 2:0
ჰაუგესუნდი-ალესუნდი ........ 4:2
ბრანი-სონგდალი ........ 5:0
ოდ გრელანდი-ულფი ........ 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-იარო ........ 1:1
ინტერი-კუუპიო ........ 2:1
ლახტი-ტპს ........ 2:0
ჰაკა-ჰიკი ........ 0:1
ჯჯკ-მარიეჰამნი ........ 5:2

**აშშ. მლს**

დ.ს.იუნაიტედი-კოლორადო ........ 2:0

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

ფილადელფია-ბოსტონი ........ 91:107
სერიის ანგარიში ........ 1:2
ოკლაჰომა-ლეიკერსი ........ 77:75
სერიის ანგარიში ........ 2:0

**ჩოგბურთი**

**ატპ. ჰომი. თიხა**

გასკე-ლორენცი ........ 6:3;6:2
ისნერი-სეპი ........ 6:2;6:7;5:7
ნადალი-მაიერი ........ 6:1;7:5
ვავრინკა-ტიპსარევიჩი ........ 6:3;6:1

**ვტა. რომი. თიხა**

უილიამსი ს.-პეტროვა ..... 4:6;6:2;6:3
ივანოვიჩი-ესპინოზა ........ 6:2;6:1
უილიამსი ვ.-მაკაროვა ........ 7:6;6:1
აზარენკა-პირი ........ 6:1;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

რეინჯერსი-ნიუ ჯერსი ........ 2:3
სერიის ანგარიში ........ 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ეროვნული კინოცენტრი კანის კინობაზრობაზეა

ეკა ირემაშვილი



**ეროვნული კინოცენტრი საქართველოს პავილიონით წლევანდელ კანის კინობაზრობაზე უკვე მეხუთედ არის წარმოდგენილი. 25 მაისის ჩათვლით, ეროვნული კინოცენტრის პავილიონში ინდუსტრიული კუთხით იმუშავებენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი და სხვა წარმომადგენლები — სალომე სეფაშვილი, დავით ვაშაძე და ქეთი დანელია.**

ბაზრობაზე კინოცენტრის შეხვედრები რამდენიმე მიმართულებით გაიმართება – სხვა ქვეყნების კინოფონდებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება, სამომავლო ერთობლივი პროექტების დაგეგმარება და ქართული პროექტებისათვის ალტერნატიული დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება, ევროპულ რეგიონალურ კინოფონდებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება, ახალი ქართული ფილმების ტრეილერების გავრცელება და შეთავაზება სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებისთვის, საქართველოს პოზიცირება, როგორც გადასაღებად მიმზიდველი ქვეყანა. გავრცელდება ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი დისკი.

18 მაისს საქართველოს პავილიონში გაიმართება მიღება უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოს და ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით, 19 მაისს კი მოეწყობა განვითარებაში მყოფი ქართული კინოპროექტების პრეზენტაცია.

კანის კინოფესტივალზე და კინობაზრობაზე სხვადასხვა მიზნით გაემგზავრნენ ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები – ლევან კოღუაშვილი, ზურა მაღალაშვილი, რუსუდან გლურჯიძე და თინათინ ყაჯრიშვილი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ კინობაზრობის ფარგლებში პროგრამა „პროდიუსერს ნეტვორკში". ლევან კოღუაშვილი ინდუსტრიულ სექციაში წარადგენს მხატვრული ფილმის ახალ პროექტს „მელოტი ბიჭები, თინათინ ყაჯრიშვილი საკუთარ ახალ პროექტს – „პატარძლები", ზურა მაღალაშვილი და რუსუდან გლურჯიძე ამ პროგრამაში წარდგებიან პროექტით „სხვისი სახლი". ისინი კანში ასევე გამართავენ შეხვედრებს სხვადასხვა ფესტივალთან და დისტრიბუტორთან ქართულ-ესპანურ-რუსულ-ფრანგული კოპროდუქციის „თოლიას" თემაზე.

„ეუროპეან ფილმ პრომოუშენის" და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად, წელს, კანის ფესტივალზე, პროდიუსერთა პროგრამაში ნომინირებულია ქართველი პროდიუსერი – ვლადიმერ კაჭარავა კინოპროექტით: „ოცი ნაბიჯი მიწის ქვეშ". რამდენიმე ქართველი რეჟისორის მოკლემეტრაჟიან ფილმს კი ნახავენ ფესტივალის სექციაში „შორტ ფილმ კორნერ". წარმოდგენილი იქნება ტატო კოტეტიშვილის საკურსო ნამუშევარი „საზამთრო", გაბრიელ რაზმაძის „შავი თუთა" და გიორგი მრევლიშვილის „არსად და ყველგან".

– კანის კინობაზრობა არის მსოფლიო კინოინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პლატფორმა სადაც წარმოდგენილია საერთაშორისო კინოინდუსტრიის წარმომადგენლები, ეროვნული კინოცენტრები და სხვა კინოინსტიტუციები. ეს არის უნიკალური პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს კინოპროფესიონალებს განავითარონ თანამშრომლობა, გააფართოვონ პროფესიული ქსელი, გააცნონ ერთმანეთს ბოლო პერიოდის მიღწევები და დასახონ სამომავლო გეგმები, – მიაჩნია ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელს თამარ ტატიშვილს.

# ნიკოლოზ ვაჩეიშვილი: დავით გარეჯის მონახულება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება"

ეკა ირემაშვილი



დავით გარეჯის უდაბნოს კომპლექსთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ეხმაურება და საგანგებო განცხადებას ავრცელებს:

– 1929 წლის 18 თებერვლის დადგენილებით, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ხაზმა გარეჯის მონაკვეთზე – ჩიჩხიტურის სერსა და ცალკე მდგარ კოშკზე გაიარა, საზღვარი წყალგამყოფ სერზე მთა „უდაბნოზე" აღმოჩნდა. ვინაიდან ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: უდაბნოს მონასტერი და წამებულის კომპლექსი ამ წყალგამყოფი სერის სამხრეთ კალთაზეა გამოკვეთილი, ზემოაღნიშნული, 1929 წლის დადგენილებით, ისინი აზეირბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობენ. ტერიტორიული საკითხები საბჭოთა პერიოდში არ იდგა, რადგანაც ეს მიწები მაშინ ერთიანი ქვეყნის (სსრკ-ს) საზღვრებში იყო მოქცეული. ამ სამონასტრო კომპლექსების დათვალიერება, საქართველოს მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის დაბრკოლების გარეშე იყო შესაძლებელი. უკანასკნელ ხანებშიც აქ დაუბრკოლებლად ხორციელდებოდა საფიქსაციო და კვლევითი სამუშაოები.

ტერიტორიის ადგილ-მონაცვლეობისა თუ საზღვრის დემარკაციის საკითხებზე ამჟამად მუშაობს ორი სახელმწიფოს ერთობლივი კომისია. მისი მუშაობის რეჟიმისა და პერიოდულობისაგან დამოუკიდებლად, ამ ქართული ძეგლების მოლოცვა-მონახულება ტურისტებისა და მსურველთა მიერ კვლავ ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება, – ნათქვამია ნიკოლოზ ვაჩეიშვილის უწყების მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული განცხადების საპირისპიროდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ „შავფაროსნები" ქართველმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯის სადავო ტერიტორიაზე არ შეუშვეს. ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის წარმომადგენლები ქართველმა მესაზღვრეებმა ისინი მონასტრის აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებად ნაწილში „უსაფრთხოების მიზნით" არ შეუშვეს და სხვა კითხვებზე კომენტარების გაკეთებისგან თავი შეიკავეს. რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა მომლოცველებს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მონახულება აუკრძალეს და განუცხადეს, რომ სამონასტრო კომპლექსის ნაწილი აზერბაიჯანს ეკუთვნის.

– ქართული საბრძოლო ხელოვნება თავისთავად ქვეყნის სამსახურში ყოფნას და მის დაცვას გულისხმობს, დავით გარეჯი კი, ისტორიული მემკვიდრეობაა და თითოეული ქართველისგან მისი დაცვა სავალდებულოდ მიგვაჩნია. დღეს სხვა ეპოქაა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის სხვა მეთოდები არსებობს. არ შეიძლება ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-რელიგიური ძეგლის დაკარგვას ასე მშვიდად შევხვდეთ. ყველამ ჩვენი პოზიცია უნდა დავაფიქსიროთ და ერთად ვიზრუნოთ მისი დაბრუნების გზების მოძიებაზე, – განაცხადა „შავფაროსნების" პრეზიდენტმა ირაკლი ქოქოსაძემ.

21 მაისს კი დავით გარეჯთან სასულიერო პირები და მრევლი შეიკრიბება. ეს განცხადება დავით გარეჯის წინამძღვარმა მამა ილარიონმა გააკეთა. მისი თქმით, ორშაბათს სასულიერო პირები სადავო ტერიტორიაზე, კერძოდ უდაბნოს მონასტერში მსვლელობით გაემართებიან, რის შემდეგაც იქ ლიტანიას აღავლენენ.

– იქ ის სასულიერო პირები მივალთ, ვისაც შესვლის უფლება გვაქვს. მრევლი იმ ადგილამდე მოვა, სადამდეც ამის უფლება აქვს, – აცხადებს დავით გარეჯის წინამძღვარი.

## მინაშვილი პოლიტიკოსებს დავით გარეჯზე უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი ზოგიერთ პოლიტიკოსს დავით გარეჯის საკითხზე უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ის ინსინუაციები, რომლებიც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან ბოლო დღეების განმავლობაში გაისმის, რბილად რომ ითქვას, არასწორია და საკუთარი ქვეყნის წინაშე –– გარკვეულწილად უპასუხისმგებლოც.

„რაც შეეხება პოლიტიკური ფიგურებისა და საზოგადოების წარმომადგენლების განცხადებებს, რატომღაც, არ მახსოვს, ამ ადამიანებს, მაგალითად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კულტურული თუ რელიგიური ძეგლების დაზიანების გამო ხმამაღალი პროტესტი გამოეთქვათ," – აღნიშნა დეპუტატმა.

მისი განმარტებით, საქმე ეხება დავით გარეჯის მთლიანი ტერიტორიის 2 პროცენტს, რომელიც, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს საზღვრებში ვერ მოხვდა.

„ამჟამად დემარკაცია-დელიმიტაციის კომისიის მუშაობა მიმდინარეობს. სამუშაოები ორ მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოს შორის ტარდება და, დამერწმუნეთ, ეს პროცესი ნამდვილად წარმატებით დასრულდება. ამას პოლიტიკური ინსინუაციები არ სჭირდება", –– დასძინა აკაკი მინაშვილმა.

მედიანიუსი

# მუზეუმების საერთაშორისო დღეს საქართველოც აღნიშნავს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

– გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა ასახავს და ფართო საზოგადოებას წარუდგენს გერმანელებსა და ქართველებს შორის არსებულ მჭიდრო და საუკუნოვან ურთიერთობებს. გამოფენის ნახვა შესაძლებელი იქნება 22 სექტემბრამდე. გამოფენაზე წარმოდგენილია ორ ქვეყანას შორის არსებული პირველი კონტაქტები XII საუკუნეში, XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობების ამსახველი მასალა, – განმარტავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

ექსპოზიციაზე მისულ დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს საქართველოს ისტორიის, ხელოვნებისა და თბილისის ისტორიის მუზეუმებში დაცული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეოლოგიური, ფერწერული და გრაფიკული კოლექციების 300-მდე ექსპონატი. აგრეთვე, წარმოდგენილია ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექცია და საფეხბურთო კლუბ „დინამოდან" თასების მფლობელთა თასი. როგორც გამოფენის ორგანიზატორები განმარტავენ, აქამდე არც ერთ სხვა გამოფენაზე ყოფილა წარმოდგენილი გერმანელებისა და ქართველების საერთო ისტორიის ამსახველი ასეთი სრულყოფილი სურათი. გერმანული კვირეულის ფარგლებში „თბილისის ივენთ ჰოლში" გამოფენა „ექსპო გერმანია" გაიხსნა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება საქართველოში ორგანიზებით. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი გერმანული კომპანია, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში საქმიანობს. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წარმომადგენლის ნინო თევდორაძის განცხადებით, „ექსპო გერმანია" რიგით მესამე გამოფენაა.

გერმანული კვირეულის ფარგლებში იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში კი გაიხსნება უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის გამოფენა „პაულა მოდერზონ-ბეკერი და ვორბსვედეს ხელოვანთა კოლონია. 1895-1905 წლები ტრადიციული და დაზგური გრაფიკა", რომელსაც წარმოადგენენ გოეთეს ინსტიტუტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით.

– ხატვისას სულაც არ არის საჭირო მხოლოდ იმაზე ფიქრი, რასაც უშუალოდ ხედავ. მნიშვნელოვანია ის, რასაც გრძნობ, – ეს ციტატა ახალგაზრდა პაულა მოდერზონ-ბეკერს ეკუთვნის და ცხადყოფს, რომ ის XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იმ ხელოვანთა რიგს ეკუთვნის, ვინც მკაცრი აკადემიური მიმართულებების ოპოზიციაში იყვნენ. პაულა მოდერზონ-ბეკერი ვორპსვედეს ხელოვანების კოლონიაში დასახლდა იმისათვის, რომ სახელოსნოს გარეთ, ბუნებაში ემუშავა. თუმცა, მისი კოლეგებისგან ოტო მოდერსონ, ფრიც მაკენსენ, ჰანს ამ ენდე, ფრიც ოვერბეკ და ჰანრიხ ფოგელერსგან განსხვავებით, პაულა მოდერზონ-ბეკერის შთაგონების წყარო არა იმპრესიონისზმი და იუგენდშტილია, არამედ სეზანი, ვან გოგი და გოგენი. სწორედ მათი გავლენით ამბობს ის უარს მოვლენის უშუალოდ გამოსახვაზე და უფრო მის შიდა არსს ეძიება. ამას თან სდევს ფორმის გამარტივება, რაც განსაკუთრებით კარგად მის გრაფიკულ ნახატებში ჩანს. ისინი თავისი რადიკალურობით ხშირად აღემატებიან მისივე ფერწერულ ნამუშევრებს. სწორედ ამიტომ შემოიფარგლება ეს გამოფენა პაულა მოდერზონ-ბეკერის ტრადიციული გრაფიკითა და ოფორტებით. ექსპოზიციაში ასევე წარმოდგენილია ვორბსვედეს კოლონიის ხელოვანთა გრაფიკები, – განაცხადა გოეთეს ინსტიტუტის კულტურული პროგრამების განყოფილების წარმომადგენელმა თამთა გოჩიტაშვილმა.

გოეთეს ინსტიტუტში კი ხელოვნებათმცოდნემ, ალექსანდრა კაპელმა თავის მოხსენებაში „პატარა ფოგელერი ჩემი ფავორიტია" ისაუბრა პაულა მოდერზონ-ბეკერისა და ჰაინრიხ ფოგელერის ურთიერთობაზე ვორბსვედეში, ხოლო მწერალმა და პუბლიცისტმა ნაირა გელაშვილმა საზოგადოებას ახალი ბიოგრაფიულ რომანი „ზრდის ბედნიერება ანუ მხატვარი პაულა მოდერზონ-ბეკერი" წარუდგინა.

სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმსა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულ ზოგიერთ ექსპონანტს კი კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ამ ნივთების საზღვარგარეთ გატანა ხდება შესაძლებელი. მთლიანობაში საუბარია 160 ექსპონანტზე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 3/80 ბრძანებულების თანახმად, რომელსაც მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი დავით ცხადაძე აწერს ხელს, კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში ამ ექსპონატთათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ მონაცემების ძეგლების სახელმწიფო რეესტრსა და სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა დაევალა.



## hჳჯცჲჯჳლბ

**შვეულად**: 1. დაბალი ხარისხის ალმასი; 2. ქოქოსის კაკლის გული, რომლისგანაც ხდიან მაღალხარისხოვან ზეთს; 3. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. სქელი მურაბა; 5. ტბა გაგრის რაიონში; 6. გულის ნორმალური მუშაობის რიტმის დარღვევა; 9. მეცნიერება მევენახეობის შესახებ; 10. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 11. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 14. ქართველთა სახელწოდება მუსულმანურ ქვეყნებში; 16. ცხარე საწებელა; 18. სითხის გამოსახდელი ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. რაიმეს დამზადების წესი; 23. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 24. დედალი ღორი; 25. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 26. რაიონული ცენტრი იმერეთში.

**თარაზულად**: 7. მაღალი ტემპერატურეს გასაზომი ხელსაწყო; 8. მოკლე დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 12. სუბტროპიკული ხილი; 13. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. შექსპირის ტრაგედია; 17. ძვირფასი, კარგად მოწყობილი სასადილო; 19. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე, რუხი-მოწითალო ფერის სითხე; 21. ჰუნების წინამძღოლი; 22. ქალი, დედაკაცი; 27. სანახაობითი წარმოდგენა, რომელშიც ქალი თანდათანობით შიშვლდება; 28. ტიპობრივი ნიმუში, საზომი, ნორმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჳჯცჲჯჳლც,ბც ბფცეც,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ლაკოსტა; 2. ელეგია; 3. ტახომეტრი; 4. გელათი; 5. პიგმენტი; 7. ჯემი; 11. დუმბაძე; 13. ფაბრიკა; 15. ტაქსა; 16. იუდეა; 18. რამპა; 19. დუნაი.

**თარაზულად:** 6. ადაჯიო; 8. კლოშარი; 9. ფალანგა; 10. სიმინდი; 12. სარკე; 14. პილონი; 17. რუბეროიდი; 20. ფხაკაძე; 21. ესქილე; 22. პოლაკი; 23. ბასტილია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დუნაი; 2. ბროსე; 3. ყუმბარა; 4. ეტლი; 5. ჰერა; 6. ღვარძლი; 9. ლარინგოლოგი; 10. აკორდეონი; 11. წალენჯიხა; 14. კოლხა; 16. ეთიკა; 18. შტოპორი; 20. დელფინი; 23. თული; 24. ბანკი; 25. შარჟი; 26. ჯამე.

**თარაზულად:** 7. კუბეტენი; 8. კორექტივი; 12. მარკა; 13. იანძი; 15. აკინი; 17. ლინდგრენი; 19. პოლკი; 21. კორნი; 22. თხილი; 27. ტრიატლონი; 28. ტრამპლინი.

# პუტინი რუსების ნდობას კარგავს



**რუსეთის ოპოზიცია წუხელ ჩისტიე პრუდიზე მათი საპროტესტო მშვიდობიანი ბანაკის დაშლის შემდეგ მეორე ბანაკს უკვე არბატზე ქმნის. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, სავარაუდოდ, ბანაკი სადღეღამისო იქნება. ორგანიზატორები ამ ბანაკისაკენ ხალხის დინებას საღამოსკენ ელიან.**

შეგახსენებთ, რომ წუხელ ჩისტიე პრუდიზე ოპოზიციის ბანაკის დაშლისა და ამ აქციის მონაწილეების დაპატიმრების შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლებმა მეტრო „ბარიკადნაიას" სკვერში გადაინაცვლეს, თუმცა საბოლოოდ ბანაკის გახსნა არბატზე გადაწყვიტეს.

მანამდე კი, მოსკოვის პოლიციის თანამშრომლებმა „ჩისტიე პრუდში" ოპოზიციის ბანაკი დაშალეს.

„ბი-ბი-სის" ცნობით, სამართალდამცავებმა აქციის დაახლოებით 20 მონაწილე დააკავეს.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ილია იაშინის განცხადებით, ღამით ბანაკში დაახლოებით 100 ადამიანი იმყოფებოდა.

– პოლიციამ გამოიყენა ძალა. ისინი მიათრევდნენ ადამიანებს სპეცმანქანებში ჩასასმელად. სპეციალური საშუალებები პოლიციას არ გამოუყენებია იმის გამო, რომ პოლიციისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. იმ დროს როდესაც აქ პოლიცია გამოჩნდა, ადამიანების უმეტეს ნაწილს ეძინა, – განაცხადა იაშინმა.

შეგახსენებთ, რომ წუხელ ბასმანის სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც მოსკოვის პოლიციას „ჩისტიე პრუდის" მიმდებარე ტერიტორია ოპოზიციის ბანაკებისგან უნდა გაეწმინდა.

– რუსეთის ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი რუსების ნდობას კარგავს, – იუწყება „როსბალტი".

წყაროს ცნობით, „ლევადა-ცენტრის" სოციოლოგებმა დაასკვნეს, რომ ის რუსებისათვის ნაკლებად სიმპათიური ხდება. 2012 წლის ბოლოს, როცა პუტინი ინაუგურაციისათვის ემზადებოდა, სოციოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მისი ძლიერი მხარეების შეფასების მაჩვენებელი 2000 წლის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა, როცა მისი გზა დიდ პოლიტიკაში, ფაქტობრივად, იწყებოდა.

მის საქმიან თვისებებს გამოკითხულთა 39 პროცენტი დადებითად აფასებს. 2000 წელს კი ის ამ მხრივ 49-პროცენტიანი ნდობით სარგებლობდა. მას ინტელიგენტად გამოკითხულთა მხოლოდ 18 პროცენტი მიიჩნევს, 2008 წელს კი მას ასეთად 43 პროცენტი ახასიათებდა.

გაცილებით შემცირდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პუტინს კონსტრუქციული დიალოგისა და კომპრომისზე წასვლის უნარი ახასიათებს. მიმდინარე წელს ასე მხოლოდ გამოკითხულთა 12 პროცენტი ფიქრობს, 2008 წელს კი მის ამ თვისებას 25 პროცენტი უსვამდა ხაზს.

გამოკითხულთა 7 პროცენტი მიიჩნევს, რომ იგი ღირსეული და წესიერი ადამიანია. მისი კარიერის პიკზე, 2008 წელს კი ამ აზრს გამოკითხულთა 24 პროცენტი იზიარებდა.

სოციოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტის ის თვისებებიც კი, როგორებიც ძალა, ლიდერის სიმამაცე და ნება, რაზეც ის გაანგარიშებას აკეთებდა, ამ დროისათვის დადებითად მხოლოდ 18 პროცენტის მიერ ფასდება. 2000 წელს კი ეს მაჩვენებელი 25, ხოლო 2008 წელს 34 პროცენტს შეადგენდა.

# რა ელის საბერძნეთს



საბერძნეთის მიერ ევროზონის დატოვებისა და ეროვნულ ვალუტა – დრაჰმაზე გადასვლის შემთხვევაში, ქვეყანაში პროდუქტებისა და მომსახურების ტარიფები დაიკლებს. გაიაფდება ასევე სასტუმროების ღირებულება, რაც ქვეყანაში დამატებით ტურისტული ნაკადების ჩასვლას განაპირობებს.

– თუ საბერძნეთი დრაჰმაზე გადავა, ეს ქვეყანაში ინფლაციასა და ტურისტული პროდუქტების გაიაფებას გამოიწვევს. უცხოელი ტურისტების მხრიდან საბერძნეთზე მოთხოვნა სავარაუდოდ გაიზრდება, რაც ტურიზმისთვის კარგია. სხვა საკითხია მაღალი ინფლაცია, – მიიჩნევს „გრეკ.რუს" მთავარი რედაქტორი რომან სიმკინი.

მან ასევე აღნიშნა, რომ ევროზე გადასვლამდე საბერძნეთი ტურისტებისათვის საკმაოდ „იაფიანი" ქვეყანა იყო, ვიდრე დღეს არის.

საბერძნეთმა 1829 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა ოსმალეთის იმპერიისაგან, მაგრამ ამას მოჰყვა მთელი ეპოქა პოლიტიკური გადატრიალებებისა და სამხედრო დიქტატურისა.

თანამედროვე დემოკრატიული რესპუბლიკა 1975 წელს ჩამოყალიბდა. 1981 წელს იგი ევროპის კავშირის წევრი გახდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# დიმიტრი მედვედევი შესაძლო ბირთვულ ომზე საუბრობს

რუსეთის პრემიერ-მინისტრის დიმიტრი მედვედევის განცხადებით, „სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევამ შესაძლოა, ბირთვული ომის პროვოცირება მოახდინოს".

ამის შესახებ მედვედევმა სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე მეორე საერთაშორისო იურიდიულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– უცხო სახელმწიფოში ნაჩქარევი სამხედრო ოპერაციები ჩვეულებრივ ხელისუფლებაში რადიკალების მოსვლით მთავრდება. რაღაც მომენტში ასეთი ქმედებები, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტს არღვევს, შესაძლოა, სრულფასოვანი რეგიონული ომით დასრულდეს და შეიძლება, არავის შეშინება არ მსურს, ბირთვული იარაღის გამოყენებითაც, – განაცხადა მედვედევმა.

მისივე თქმით, „სახელმწიფოს უზენაესი უფლებისა და სუვერენიტეტის დაცვა აუცილებელია და სახელმწიფო სუვერენიტეტის დოქტრინის დარღვევა არ შეიძლება".

– გაერო-ს ნებართვის გარეშე სამხედრო ოპერაციის ჩატარება, გაცხადება, რომ ამა თუ იმ რეჟიმმა ლეგიტიმურობა დაკარგა, საერთაშორისო ინსტიტუტების გვერდის ავლით ნებისმიერი სანქციების შემოღება, მსოფლიოში სიტუაციას არ აუმჯობესებს, – დასძინა რუსეთის პრემიერმა.

ასევე შეგახსენებთ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის ხელმძღვანელის, გენერალ ნიკოლოზ მაკაროვის განაცხადებას, რომ შესაძლოა, რუსეთის საზღვრებთან მომხდარი ლოკალური კონფლიქტები ფართომასშტაბიან ბირთვულ ომში გადაიზარდოს.

– სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობა, ფაქტობრივად რუსეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე მკვეთრად გაიზარდა, – განაცხადა მაკაროვმა საზოგადოებრივ პალატაში გამოსვლისას.



გენშტაბის უფროსმა დამსწრეებს შეახსენა, რომ ვარშავის ხელშეკრულების თითქმის ყველა ქვეყანა, ასევე სსრკ-ში შემავალი ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოს წევრები გახდნენ.

– განსაზღვრულ გარემოებებში ვერ გამოვრიცხავ, რომ ლოკალური და რეგიონალური შეიარაღებული კონფლიქტები ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება და ბირთვული იარაღიც იქნება გამოყენებული, – განაცხადა გენერალმა.

მისივე თქმით, შესაძლოა, რუსეთის არმია საერთოდაც საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების გარეშე დარჩენილიყო, სამხედრო რეფორმა რომ არ დაეწყო.

– ყველაფერი რომ ძველი გეგმის მიხედვით განვითარებულიყო, რომელიც 2015 წლამდე იყო გათვლილი, 2014 წელს რუსეთის გამართული ტექნიკა და შეიარაღება დღეს არსებულის მხოლოდ 10% იქნებოდა, – აღნიშნა მაკაროვმა.



# აშშ ირანის ატომურ ობიექტებზე თავდასხმისთვის მზადაა

აშშ-მა ირანის ატომურ ობიექტებზე თავდასხმის გეგმაზე მუშაობა დაასრულა და მისი განხორციელებისთვის მზადაა. „ინტერფაქსის" ცნობით, ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ისრაელში დენიელ შაპირომ განაცხადა. წყაროს ცნობით, სამხედრო ოპერაცია ირანის წინააღმდეგ არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ დაგეგმილია და რეალიზაციისათვის მზად არის. აღნიშნული განცხადება თელ-ავივში გამართულ კერძო შეხვედრაზე გაკეთდა.

გარდა ამისა, ისრაელის პრესა იუწყება, რომ დიპლომატის განცხადება აშშ-ის ადმინისტრაციის ყველა საჯარო განცხადებას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც, ირანის ბირთვული პრობლემა დიპლომატიური გზით უნდა გადაიჭრას.

როგორც დენ შაპირომ „მაკორ რიშონისათვის" ამას წინათ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, აშშ-ის პოლიტიკა და მის მიერ გამოყენებული საშუალებები ისრაელთან სრულად არის კოორდინირებული. დიპლომატმა უარყო თეორია, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის ხელმძღვანელობა მზად არის იმასთან შესაგუებლად, რომ ირანი თავის ბირთვულ პროგრამას ავითარებს.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთი ბირთვული პროგრამის გამო ირანის მიმართ მკაცრი ზეწოლის პოლიტიკას ატარებს. დასავლელი პოლიტიკოსების მოსაზრებით, თეირანის მთავარი მიზანი ბირთვული იარაღის შექმნაა. ამის გამო უკიდურეს საფრთხეს საკუთარი თავისთვის ისრაელიც ხედავს. მით უმეტეს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა თბილი არასდროს ყოფილა.

აშშ და ისრაელი აცხადებენ, რომ სამხედრო ძალის გამოყენება იქნება ბოლო ზომა იმისთვის, რომ ირანმა გამდიდრებული ურანის ატომურ იარაღად გარდაქმნა შეწყვიტოს.

დასავლეთის ქვეყნებმა ამ მიზნით ირანს სანქციებიც დაუწესეს.

# ამერიკის კონგრესი ყარაბაღს 5 მილიონი დოლარით დაეხმარება

ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მთიან ყარაბაღს 2013 წლისათვის შესაძლოა ხუთი მილიონი დოლარი გამოუყოს.

ეს გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინ კონგრესის სახელმწიფო და საერთაშორისო ოპერაციების ქვეკომიტეტმა მიიღო. ქვეკომიტეტმა ასევე უარყო ბარაკ ობამას ადმინისტრაციის გეგმა, რომელიც სომხეთისათვის დახმარების 7,2 მილიონი დოლარით შემცირებას ითვალისწინებდა. აზერბაიჯანისათვის კი, 16 მილიონი დოლარის გამოყოფაზეა საუბარი.

ქვეკომიტეტმა ასევე მხარი დაუჭირა, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო დახმარების თანასწორობის შენარჩუნებას და ადმინისტრაციას მოუწოდა ჯავახეთში (საქართველო) მცხოვრები სომეხი მოსახლეობის დახმარების სტრატეგია შეიმუშავოს.

ეს ინიციატივა 2013 წლის ფისკალურ პროექტშიც შევიდა და შესაფერის კომიტეტში ხმის მისაცემად ხვალ გავა. აღნიშნულის შესახებ სომეხი წყარო საუბრობს.

სენატში დასამტიცებლად დოკუმენტი შესაძლოა მომავალ კვირაში გავიდეს.

თავის მხრივ, ვაშინგტონის წყარო „თურანთან" საუბარში აღნიშავს, რომ სომეხი ლობისტები ნახევარ წელზე მეტია მოლაპარაკებებს აწარმოებენ კონგრესმენებთან. – ამ დროის განმავლობაში აზერბაიჯანული მხარე ამერიკის მსხვილ კომპანიაში ხაფიზ პაშაევის ვიზიტის ორგანიზებით იყო დაკავებული,– აღნიშნავს წყარო.

ახლა ოფიციალური ბაქო სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს, თუმცა როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ – ამაოდ.

თავის მხრივ, ევროკავშირმა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებისთვის აზერბაიჯანს და სომხეთს ახალი წინადადებები შესთავაზა. როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი აზერბაიჯანში როლანდ კობია აცხადებს, ევროკავშირმა რამდენიმე წინადადებით მიმართა მხარეებს, თუმცა ჯერჯერობით ეს შეთავაზება მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

– ეს წინადადებები ემსახურება ორივე მხარეს შორის ნდობის გაძლიერებას, კონფლიქტი ძალიან დიდი ხანია გრძელდება, საზღვარზე ხალხი იღუპება, ჩვენ მინსკის ჯგუფს ვენდობით, თუმცა ოფიციალური მოლაპარაკებების გარდა, აუცილებელია ადამიანთა შორის ნდობის აღდგენა, – განაცხადა კობიამ.

მთიანი ყარაბაღი – ისტორიული რეგიონი ამიერკავკასიაში. 1923 წელს შეიქმნა ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. 1988 წლის შემდეგ ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორია და მისი მიმდებარე აზერბაიჯანის რაიონები ფაქტობრივად ოკუპირებული აქვს სომხურ სეპარატისტულ დაჯგუფებებს. ტერიტორიის სტატუსი კვლავაც გაურკვეველია.

ფართობი – 2,7 ათასი.

მოსახლეობა – 146 ათასი, კონფლიქტამდე ძირითადად ცხოვრობდნენ სომხები და აზერბაიჯანელები. ამჟამად მხოლოდ სომხები არიან დარჩენილი.

დედაქალაქი – სტეპანაკერტი (აზერბაიჯანულად – ხანქენდი).




## TV პროგრამა

18 მაისი

პარასკევი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** თოქ-შოუ "არენა" **13.50** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"არც ასე, არც ისე"** **21.30** გააგრძელე საქართველოს ისტორია **22.00** მხ. ფ. **"ინტელექტის კოეფიციენტი"** (მ. რაიანი) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"წმინდა ლორენცოს ღამე"** **03.00** მხ. ფილმი **"ამერიკული ჟიგოლო"** (12) (რ. გირი) **05.05** მხ. ფილმი **"მერი ბრაიანტის დაუჯერებელი მოგზაურობა"** (15) **06.40** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **16.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **16.45** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"შეკლეტონი"** **01.00** მხ. ფილმი **"შესასვლელი და გამოსასვლელი"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ **14.40** ნანუკას შოუ (გან.) **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ქარ. სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** **100** გრადუსი **00.15** დოკ. ფილმი "ბიკინის სამყარო" **00.45** "ფლეი ბოი" **01.40** მხ. ფილმი **"პროვინციელი ბარმენი"** (15) (პ. ჰილტონი) **03.10** მხ. ფ. **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (შ. ტერონი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.30** კომედი შოუს სკეტჩები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"მისი სულის მუსიკა"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** მხ. ფილმი **23.00** **105** წუთი (პირდ.) **01.00** მზესუმზირა **03.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **13.00** სამედ. გად. "იმპულსი" **13.30** სერ. **15.15** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **19.35** სერ. **21.00** ზღაპრის კონა **21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.10** მხ. ფილმი **"ლუარსაბ თათქარიძე"** **13.25** კონცერტი – ნ. რაჭველი და ვ. ნაკარაიკოვი. **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.15** მხ. ფილმი **"დიდებები და შვილიშვილები"** **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"სიყვარული ყველას უნდა"**. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 maisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,639

ევრო —2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

## ამინდის პროგნოზი 18 მაისისთვის





## 8 მაისიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი

**მასონები**



გამოსულია:

პირველი ტომი ტირანები

მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი

მესამე ტომი კანიბალიზმის ისტორია







გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 4 მაისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად



ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

პირველი ტომი

ფასი 6 ლარი


## კობიაშვილს საკითხი შტარკის პატაკზეა დამოკიდებული



დიუსელდორფის სკანდალურ მატჩს, რომელზეც გუშინდელ ნომერში ვწერდით, გერმანიაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა და სამწუხარო ის არის, რომ ამ სკანდალს მატჩის შემდეგ ისეთი გაგრძელება მოჰყოლია, რომელიც ქართველ ფეხბურთელ ლევან კობიაშვილს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს.

გერმანული მედიის ცნობით, კობიაშვილს „ფორტუნასთან“ გამართული მატჩის შემდეგ, მთავარ არბიტრ ვოლფგანგ შტარკისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებია.

ოფიციალურად დაუდასტურებელი ცნობა იმის შესახებ, რომ კობიაშვილმა შტარკს ხელი გაარტყა, „შპორტ ბილდის“ ინფორმაციაა. „კიკერის“ ცნობით კი, რომ ლევანი მსაჯზე აგრესიულად იწევდა, ხელით შეხების ფაქტზე ამ გამოცემაში არაფერია ნათქვამი. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სასჯელს დააკისრებს სადისციპლინო კომიტეტი კობიაშვილს. ასეთი დარღვევისათვის, ყველაზე მკაცრი სანქცია ორწლიანი დისკვალიფიკაციაა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთმა ფუნქციონერმა, გაზეთ „ბერლინერ ცაითუნგს“ უთხრა, რომ კობიაშვილის საკითხის განხილვა არ დაწყებულა, რადგან ვოლფგანგ შტარკს ფორტუნა-ჰერტას მატჩის დეტალური ანალიზი ჯერ არ ჩაუბარებია.

გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამ ფაქტის შესახებ არაოფიციალური ცნობები საფეხბურთო კავშირშიც მივიდა, მაგრამ ჯერ შტარკის პატაკს ელოდებიან.

თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ამის შესახებ აუცილებლად გაცნობებთ.

**მ. ჟ.**

## სალომე კორკოტაშვილი ფილარმონიაში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

ახალგაზრდა მომღერალი სალომე კორკოტაშვილი დიდი ხნის ოცნებას აისრულებს და 18 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს. საღამო პროექტის „ქართული ხელოვნების საღამოები“ ფარგლებში ჩატარდება. „ქართული ხელოვნების საღამოები“ კულტურის სამინისტროს ეგიდით იმართება და მთელი პროექტის განმავლობაში, რომელმაც ერთი წელი მოიცვა, 24 ღონისძიება დაიგეგმა. მათ შორის ანსამბლების რუსთავი, სუხიშვილები, ერისიონი კონცერტები, ქართული საბალეტო დასის წარმოდგენები, ნიაზ დიასამიძის, ზუმბას, ლაშა ღლონტის და სხვა ქართველი მომღერლების კონცერტები.



ამჯერად საზოგადოების წინაშე სალომე კორკოტაშვილი წარდგება. მომღერალი კონცერტზე ახალ ბენდთან ერთად სრულიად ახალი პროგრამით წარდგება. ჯგუფი „ფანქი სტაფი“ და სალომე კორკოტაშვილი ძველ სიმღერებთან ერთად ახალ კომპოზიციებსაც წარმოადგენს. ამჟამად მომღერალს ჯგუფთან ერთად უწყვეტი რეპეტიციები აქვს და მსმენელთან შესახვედრად განსაკუთრებულად ემზადება. სალომე კორკოტაშვილი არასოდეს მალავდა, რომ სოლოკონცერტის ჩატარება სურდა, თუმცა დიდი საკონცერტო დარბაზი არასოდეს დაუსახელებია. მომღერლის სურვილი იყო, კონცერტი თბილისის ივენთ ჰოლში მოეწყო. ცნობილია, რომ სალომე კორკოტაშვილი ყოველწლიურად მართავს კონცერტებს ფესტივალ „არტ გენის“ ფარგლებში, მომღერალი ხშირად ჩანს სხვადასხვა საქველმოქმედო კონცერტებშიც. ამჯერად სალომე უკვე მსმენელს დიდ საკონცერტო დარბაზში შეხვდება.

პროექტი „ქართული ხელოვნების საღამოები“ დასასრულს უახლოვდება, ის 27 მაისს აჩიკო ნიჟარაძის სოლო კონცერტით დაიხურება.

.დცჯფვ უფბსღფჟჯბცრბყცს=

წარმატებული დღეა

fcnhjghjuyjpb

!* ვფბცბცსღბც

**ვერძი** – წარმატებული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **კური** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ პროვოკაციას, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** – შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ. **მშვილდოსანი** – დღეს ბედნიერი დღე გაქვთ, საწადელს აისრულებთ. **თხის რქა** – ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერი კარგად იქნება. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – კარგი ახალი ამბავი დიდ ფულს მოგიტანთ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ღქტს=

## h3xცღx3ღბ ფ

**შვეულად:** 1. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 2. ომონიმებით გარითმული ლექსი; 3. რაიმე ადგილის საერთო ხედი; 4. ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 5. დიდი სარეკლამო პლაკატი; 7. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 11. ხალხური თქმულება; 13. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობა დგინდება მტკიცების გზით; 15. პროფესიონალი ცხენოსანი; 16. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 18. ერთწლიანი, პარკოსანი, ბალახოვანი მცენარე; 19. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. ბრილიანტის ერთ-ერთი გვერდი; 9. ტკბილი, შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 10. ხეობა საქართველოში; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 14. მაღალხარისხოვანი ბროლი; 17. დედამიწის ყველაზე ცხელი ბუნებრივი ზონა; 20. ორადგილიანი ველოსიპედი; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 22. შტატი აშშ-ში; 23. კინოცენტრი იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

